

# სანვაკი

**გამომცემლობა „აგორა“**

**კოლექცია „ავანსენა“**

ფრანგულიდან თარგმნა **თამარ ხოსრუაშვილმა**

ყდის დიზაინი: ნინო ხოსრუაშვილი

ყველა უფლება დაცულია.

© გამომცემლობა აგორა, ქართული გამოცემა,

© თამარ ხოსრუაშვილი, თარგმანი, 2010.

წიგნი გამოიცა მერაბ მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში თბილისის ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის ხელშეწყობით

**Amélie Nothomb**

**Les Combustibles**

Traduit du français par Tamar Khosrouachvili

ოთახის სიღრმეში, წიგნებით სავსე თაროები მთლიანად ფარავს კედელს. დანარჩენი ნაწილი თვალშისაცემად ცარიელია: არც მაგიდები, არც სავარძლები, არც საწერი მაგიდა, მხოლოდ რამდენიმე ხის სკამი და უზარმაზარი თუჯის ღუმელი.

ასე, ორმოცდაათი წლის მამაკაცი სკამზე ზის და მუხლებზე დაწყობილ ქალაქის კიპაზე რაღაცას წერს. ყელიანი სვიტრი აცვია.

შემოდის ოცდაათიოდე წლის მამაკაცი დიდი პალტოთი, რომელსაც არ იხდის.

**დანიელი:** მუშაობთ?

**პროფესორი** (თავსაც არ აბრუნებს): უკვე ერთი საათია.

**დანიელი** სკამს იღებს, ღუმელთან დგამს და ჯდება.

**დანიელი:** ომამდე ასე ადრე არ დგებოდით.

**პროფესორი:** სიცივე არ მაძინებს. კინალამ გამაგიჟა. ბოლოს, ისევ ადგომა ვამჯობინე. უცნაურია, მაგრამ როცა ზიხარ, ნაკლებად იყინები.

**დანიელი:** იმიტომ რომ მუშაობთ: გონება სხვა რამით გაქვთ დაკავებული და სიცივეზე აღარ ფიქრობთ.

სიცივეს ხაკლეიად უხევ ხიხააღძდეგოიას. ყოველ ძეძთხვევაძი, ასე გგოხია.

**დანიელი:** რაზე მუშაობთ?

**პროფესორი:** გაგეცინებათ, დანიელ: ვწერ, ოღონდ არ ვიცი რას – ლექციას? მოხსენებას? აზრებს? – „ობსერვატორიის მეჯლისის“ ბოლო თავის შესახებ.

**დანიელი:** ბლატეკის რომანს გულისხმობთ?

**პროფესორი:** არა მგონია, სხვასაც დაეწეროს „ობსერვატორიის მეჯლისი“.

**დანიელი:** რატომ გიკვირთ? ამდენი წელია გიცნობთ და თქვენგან ცუდის მეტი არაფერი გამიგონია ბლატეკზე.

**პროფესორი:** მართალია, ამდენი წელია მიცნობთ, მაგრამ რამდენი ხანია, რაც ჩემთან ერთად ცხოვრობთ?

**დანიელ:** თქვენთან მას შემდეგ გადმოვედი, რაც ბარბაროსებმა ჩემი უბანი მიწასთან გაასწორეს. უკვე ორი თვეა.

**პროფესორი:** ჰოდა, ამ ორი თვის მანძილზე, დანიელ, საშუალება მოგეცათ ჩემს ნამდვილ ცხოვრებას გაცნობოდით. მითხარით ერთი, თუ ფატერნისის წიგნში თავჩარგული თუ გინახივართ?

**დანიელი:** არა.

**პროფესორი:** ობერნახის? ესპერანდიოს? კლეინბეტინგენის?

**პროფესორი:** რა დასკვნა გამოგაქვთ, ჩემო კარგო?

**დანიელი:** ის, რომ გასაკვირი არაფერია. რამდენი ხანია, ამ ავტორებზე ლაპარაკობთ, მათი ნაწარმოებები ალბათ ზეპირად იცით. ფატერნისზე დისერტაციაც დაიცავით. მისი ნაწარმოებების თავიდან კითხვას ხომ არ დაინწყებთ.

**პროფესორი:** მეტისმეტად შემწყნარებელიც ნუ იქნებით, თორემ ასე წინ ვერ წახვალთ. ომამდე სემინარების ჩატარების უფლება შემეძლო მომეცა, ახლა კი, სანამ მშვიდობა დაგვიბრუნდება – და ეს არც ისე მალე მოხდება, თქვენც კარგად მოგეხსენებათ – ჩემს ასისტენტად გნიშნავთ. ომი გვაიძულებს დანინაურებები შევზღუდოთ.

**დანიელი:** ვიცი, პროფესორო. ოღონდ, მლიქვნელობაში ნუ ჩამომართმევთ და სულელურ საქციელად ჩაგითვლიდით, იმ ავტორების კითხვაში გართული მენახეთ, ლექციებზე რომ ხოტბას ასხამთ.

**პროფესორი:** ხოლო იმ ავტორების კითხვა, რომლებსაც ლექციებზე დავცინი, ჭკუის გამოვლინებად მიგაჩნიათ?

**დანიელი:** ვფიქრობ, საამისო მიზეზი გექნებათ.

**პროფესორი:** არა, დანიელ! იქნებ ომმა ცოტა შეუწყნარებლობა მაინც გასწავლოთ! ამ სიკეთეს მაინც გამოვრჩეთ მას.

**დანიელი**

გვასხავლოს, ძაიხც იოლოს შოგვიღეს.

**პროფესორი:** იუმორის გრძნობა ნამდვილად არ გაქვთ.

**დანიელი:** თქვენ კი ფიქრობთ, რომ ეს სასაცილოა?

**პროფესორი:** რა თქმა უნდა, სასაცილოა. თქვენ პრივილეგია გარგუნათ ბედმა: შეგიძლიათ საკუთარი თვალით იხილოთ ის, რასაც არც ერთი ლიტერატურის პროფესორი თავის სტუდენტებს არ გაუმხელს – თუ რას კითხულობს იგი სინამდვილეში, თავისუფალ დროს.

**დანიელი:** თავისუფალ დროს... ომი თავისუფალი დროა?

**პროფესორი:** ჩემთვის იძულებითი თავისუფალი დროა. ადრე კვირაში თოთხმეტ ლექციას ვატარებდი. ახლა ლექციას მაშინ ვატარებ, როცა უნივერსიტეტს ბომბებს არ უშენენ. დღეს პარასკევია: ამ კვირაში სტუდენტები მხოლოდ ორმოცი წუთი დავმოძღვრე. როგორც ხედავთ, ახლა გაცილებით მეტი დრო მაქვს უგვანო საკითხავისთვის.

**დანიელი:** მე კი უნივერსიტეტში ისეთივე სიხშირით დავდივარ, როგორც ადრე დავდიოდი.

**პროფესორი:** თქვენ ახალგაზრდა ხართ და გმირულად შემართული. ასაკისა და ლაჩრობის პრივილეგია მე დამითმეთ, გეთაყვა.

**დანიელი:** სულ მთლად გმირულ შემართებას ნუ დავაბრალებთ.

პროფესორო, ღუძელი ცეცხლი ჩაძეოალა.

**პროფესორი:** სანვავი აღარ მაქვს. მიმოიხედეთ, ყველა მაგიდა გამოვიყენე, მოჩუქურთმებულიც კი. სკამები რომ დავწვა, შეცდომას დავუშვებ. იატაკზე მოგვინევს ჯდომა და უფრო მეტად შეგვცივდება. იცით, რატომ არ ცივა ასე ძალიან უნივერსიტეტში? იმიტომ რომ განუწყვეტლივ იბომბება. ყოველი დაბომბვისას მერხებს ცეცხლი უჩნდება. ბარბაროსები ჩემს უბანს მეტი გულმოდგინებით რომ ცხრილავდნენ, უფრო თბილ ბუნაგს შემოგთავაზებდით.

**დანიელი:** ამას მე შავ იუმორს ვეძახი.

**პროფესორი:** ბრავო, დანიელ! ხედავთ, ომმა ენამოსწრებული გაგხადათ.

**დანიელი:** როგორ დავიჯერო, რომ ომში ვარ! ომი ბრძოლას ნიშნავს. ჩვენ კი არ ვიბრძვით. ალყაშემორტყმულები ვართ.

**პროფესორი:** ვერ დაგეთანხმებით. როგორ არ იბრძვით! ჩვენ, პროფესორები, ლექციების ჩატარებას რომ განვაგრძობთ, ჩვენი ბრძოლა ესაა. სტუდენტებიც იბრძვიან, როცა ბომბების მიუხედავად ისევ აინტერესებთ ზმმნიზებას ადგილი რთულ ქვეყნობილ წინადადებაში რომანტიკოს პოეტებთან.

**დანიელი:** ცოტა არ იყოს, ეჭვი მეპარება, მართლა აინტერესებთ თუ არა. იქნებ უფრო იმიტომ მოდიან, რომ უნივერსიტეტში გათბობაა?

**პროფესორი**

დააკვირებით შათ ღიოსეიას.

**დანიელი:** გულახდილად გეტყვით, პროფესორო, მე მგონი, მათთვის სიცოცხლეს დიდი ფასი არ აქვს. ამას საკუთარი გამოცდილებით გეუბნებით: როცა დილის ოთხ საათზე ვდგები უნივერსიტეტში წასასვლელად, არც დისერტაციაზე ვფიქრობ, არც იმაზე, თუ გზად რა დამხვდება, არც ბომბებზე, აზრადაც არ მომდის, რომ იქნებ ეს ჩემი უკანასკნელი დილაა. მხოლოდ ერთი რამ მიტრიალებს თავში: „დაილოცოს ფაკულტეტის ბიბლიოთეკის გათბობის ცხელი მილები!”

**პროფესორი:** გათბობის მილები?

**დანიელი** (ალტაცებული გამომეტყველებით): არ შეგიმჩნევიათ, რა ცხელია კედლებთან გამავალი მილები? (დგება და ხელებს გადააჯვარედინებს). ზურგით და მკლავებით ვეყრდნობი მილებს და ასე ვდგავარ, სანამ ჩემს პალტოს დამწვრის სუნი არ აუვა.

**პროფესორი:** აი, ბედნიერებაც ეს არის! გმადლობთ, რომ ეს ამბავი მაცნობეთ.

**დანიელი:** დიახ, ასეა. დილაობით, როცა ვდგები, მხოლოდ გათბობის ცხელ მილებზე ვფიქრობ! არც სიცოცხლეზე, არც სიკვდილზე, არც ომზე, არც ბარბაროსებზე, არც დისერტაციაზე, – როგორც ალბათ ხვდებით კიდევ, – და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც შიმშილზე.

**პროფესორი:** არც მარინაზე?

ვფიქრობ, ძათ სიძხუოვალეზე, ჩემს პალტოში რომ ძეძოაღხევს.

**პროფესორი:** ახლა ვხვდები, რატომ ატარებთ თქვენი ძვირფასი დროის დიდ ნაწილს ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში.

**დანიელი:** თქვენ კი გეგონათ, დისერტაციით ვიყავი ასე გატაცებული?

**პროფესორი:** რა ვიცი, თქვენგან ყველაფერია მოსალოდნელი, თავგადადებულ იდეალისტს ჰგავხართ.

**დანიელი:** ვარ კიდევაც! ამიტომაც ვერ ამიტანია ალყაში ყოფნა. ცხოველებად ვიქეცით.

**პროფესორი:** თუ ამ ომმა ის მაინც გასწავლათ, რომ ცხოველები ვართ, ერთი კეთილი საქმე უკვე გაუკეთებია.

**დანიელი (ისევ ჯდება):** თქვენი კეთილი იუმორი მაღიზიანებს. (ხმას უწევს). ერთი ეს მითხარით, პალტოს რატომ არ იცვამთ? ძალიან გცხელათ?

**პროფესორი:** იმიტომ, რომ შინ ვარ. ჩემს საკუთარ სახლში პალტოთი სიარული არ მჩვევია.

**დანიელი:** ასეთი უსუსური არგუმენტი ჯერ არ მომისმენია. (დგება და ირგვლივ იყურება). სად არის თქვენი პალტო? (პალტოს შემოსასვლელ კართან პოულობს და ხელს სტაცებს) აჰა! ვიპოვე! ახლა კი, ნება იბოძეთ და...

**პროფესორი**

ჩავიცვამ!

**დანიელი:** რა სასაცილოდ იქცევით!

**პროფესორი:** თქვენ ბრძოლას იმით განაგრძობთ, რომ ლექციებს ისევ ატარებთ. მე კი – იმით, რომ პალტოს არ ვიცვამ, როცა შინ ვარ. თუ შინ პალტოს ჩავიცვამ, თავს დამარცხებულად ჩავთვლი!

**დანიელი:** თქვენნაირი ქვვიანი ადამიანი ასეთ სისულელეს როგორ ამბობს? *(მისკენ მიემართება პალტოთი. პროფესორი ახლა მეორე ბოლოსკენ გარბის. ასე დარბიან ოთახის ირგვლივ პატარა ბავშვებივით. დანიელს პალტო ისე უჭირავს, როგორც ტორეადორს მულეტა).*

**პროფესორი** *(დარბის და თან გაჰყვირის):* არ ვარ ქვვიანი! სიამოვნებას საერთოდ ვერ ვიღებ იმ მწერლების კითხვისას, რომლებსაც ვადიდებ! მე ბლატეკის კითხვა მიყვარს, იმიტომ რომ სისულელეს წერს! ოცდახუთი წელია, სტუდენტებს ვატყუებ!

**დანიელი** *(მისდევს და თან უყვირის):* პალტოს ჩაცმა ამასთან რა შუაშია?

**პროფესორი:** *(ისევ მირბის და თან ყვირის):* იქნებ სულელი მინდა ვიყო, ჰა?

*შემოდის თხელი აღნაგობის ახალგაზრდა ქალი, სერიოზული გამომეტყველებით. დანიელი და პროფესორი სირბილს წყვეტენ. თავს უხერხულად გრძნობენ, ახალგაზრდა ქალიც ასევე. ყველანი გაუნძრევლად დგანან.*

**მარინა:** რა ხდება?

**პროფესორი:** ხდება ის, რომ თქვენი გულის ვარდი უფლებას არ მაძლევს სულელი ვიყო.

**მარინა:** თუ თქვენ არ გსურთ პალტოს ჩაცმა, მე ჩავიცვამ დიდი სიამოვნებით. *(პროფესორი დანიელს პალტოს ართმევს და მარინას მხრებზე მოახურებს. მარინასთვის პალტო დიდია. იგი ღუმელთან ჩამოჯდება და ხელებს ზედ დაადებს).* პროფესორო, ღუმელი ცივია.

**პროფესორი:** ვიცი, მარინა. დასაწვავი აღარაფერი დამრჩა.

**მარინა** *(წიგნების თაროებს გახედავს):* ეს?

**პროფესორი:** თაროები? ლითონისაა.

**მარინა:** არა, წიგნები.

*უხერხული სიჩუმე.*

**დანიელი:** მარინა, წიგნები საწვავი არ არის.

**მარინა** *(მიამიტური ღიმილით):* როგორ არა, დანიელ. გადასარევად იწვის.

**პროფესორი:** წიგნების დაწვას თუ დავინწყებთ, ომი ნამდვილად წაგებული გვექნება.

**პროფესორი:** ჩემო პატარავ, ძალიან დაღლილი ჩანხართ.

**მარინა** (*მხიარული ღიმილით, რაც კიდევ უფრო მშვენიერს ხდის*): თავს ნუ იკატუნებთ, მშვენივრად იცით. უკვე მეორე ზამთარია, რაც ომი მძვინვარებს. შარშან რომ ეთქვათ, მეორე ზამთარსაც ომში გავატარებთო, მაშინვე დაასკვნიდით: „ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ომი წავაგეთ“. ჩვენ ომი შარშანვე წავაგეთ. სიცვივის პირველი დღის დადგომისთანავე მივხვდი.

**პროფესორი:** იმიტომ, რომ მეტისმეტად მცივანა ხართ. გასაკვირი არაფერია. რამდენს იწონით? ოცდაოთხ...?

**მარინა:** ორი ათასს... ორი ათას წიგნს ვიწონი – იმ წიგნებს, რომელთაც თქვენ ჩემს გასათბობად დანვავთ, პროფესორო.

**დანიელი:** გაჩუმდით, მარინა.

**მარინა** (*მშვიდად*): ბუნება უსამართლოა. მამაკაცები ნაკლებად მცივანები არიან, ვიდრე ქალები. ამ ომის წყალობით მივხვდი, რომ ესაა ყველაზე დიდი განსხვავება ჩვენს ორ სქესს შორის. აი, თქვენ ფიქრობთ, რომ წიგნები აღარ მიყვარს. მე კი ვთვლი, რომ თქვენ არასოდეს გქონიათ უნარი, ისინი ქუმმარიტად გყვარებოდათ: თქვენ მათ უყურებთ, როგორც მასალას დისერტაციებისთვის, ანუ თქვენი კარიერისთვის.

**პროფესორი:** როგორ მომწონს ამ ახალგაზრდა ქალის ნათელი მზერა, რომლითაც შეურაცხყოფას გვაყენებს.

რომ თქვეთვის ხიგხეი აოც ისე ძვიოფასია.

**პროფესორი:** იმ მიზნით, რომ ისინი გულდამშვიდებით დავწვათ ქალბატონის გასათბობად. სხვათა შორის, არასწორად გათვალეთ: თუ დავვაჯერებთ, რომ კარიერისტები ვართ და სულიერება არ გაგვანია, მაშინ წიგნებს კი არ დავწვავთ – რადგან ისინი ჩვენი მდაბალი ამბიციებისთვის გვჭირდება – არამედ თქვენ დავწვავთ. თქვენ ხომ არაფერში გვადგებით.

**დანიელი** (*მიემართება პროფესორისკენ*): პროფესორო!

**მარინა:** ჩემგან დიდი ცეცხლი არ გამოვა.

**პროფესორი:** ის გამოვა, რასაც დანიელისთვის წარმოადგენთ: ხანმოკლე ჩალის ნაპერწკალი.

**დანიელი** (*პროფესორის ხელებს ჩაბლუჯავს*): გაჩუმდით.

**მარინა:** ვიცი, ვიცი. ყოველ შემოდგომაზე, დანიელი ერთ ბოლოკურსელს შეაბამს ხოლმე – ბოლოკურსელს, რადგან გარანტია სჭირდება, რომ მომავალ შემოდგომაზე აღარ იხილოს. ოთხი წელია ვაკვირდები და ვიცი, როგორც ახერხებს. გარკვეული ნიშნების გამო ვუშვებდი, რომ ბედნიერი რჩეული აღმოვჩნდებოდი, თუმცა საბოლოოდ დარწმუნებული არ ვიყავი. ახლა კი კარგად მაქვს შეგნებული, რომ ჩვენი სიყვარული მხოლოდ ერთი წელი გაგრძელდება და ამიტომაც მაქსიმუმს ვითხოვ.

**დანიელი** (*პროფესორს ხელები გაუშვა და მარინას სკამთან დადგა*): საშინელი ადამიანი ხარ.

*გულხოფელად*): ძე ვაო საძიხელი! იეხეი ძეხ, დახიელ! ახ იეხეი ოძი!

**დანიელი**: თუ მართლა ფიქრობ იმას, რაც თქვი, არ მესმის, როგორ შეიძლება გიყვარდე!

**მარინა** (*კიდევ უფრო უახლოვდება*): უღირსად მოვიქეცი, დანიელ. *(თითქმის აეკვრება დანიელს და ასე, გაუნძრევლად დგას. დანიელი ერთი წამით შეყოყმანდება, შემდეგ ერთს უძღურად ამოიხვნეშებს და მკლავებს მოხვევს)*.

**პროფესორი**: მშვენიერია, მშვენიერი! ღირსეული მარივოა ამ გაგანია ომში!

**დანიელი** (*მარინა ისევ მკლავებში ჰყავს მოქცეული, მწარედ*) მარივო? ალბათ, ფატერნისი უნდა გეთქვათ!

**პროფესორი**: მართალი ხართ. არა, მაინც როგორც შეძლო იმ გასიებულმა ბურჟუამ – ფატერნისმა, ესოდენ ღრმად ჩასწვდომოდა შიშველ და მყარ ქვმარიტებებს ადამიანური სიყვარულის სიმწირის შესახებ.

**მარინა** (*თავს გაითავისუფლებს დანიელის მკლავებიდან და უკან იხევს. ერთგვარი სასოწარკვეთილებით*): არა, არა! ლიტერატურული გარჩევები არ გვინდა! მცირა, ცეცხლი დამინთეთ!

**პროფესორი**: აი, დანიელ, ასე ლაპარაკობდა პრეისტორიული მდედრი, როცა გამოქვაბულში ბრუნდებოდა.

**მარინა**

პროფესორო. ძე ოძის გამო გავხდი ასე ძალიან. თქვენ რომ იქნებოდით გციოდეთ, მაშინ გამიგებდით.

**პროფესორი:** უკეთ უნდა იკვებოთ, ჩემო პატარავ.

**მარინა:** ბრწყინვალე აზრია. რას მთავაზობთ? გაყინული გვამის გარდა მე საჭმელად არაფერი მეგულება.

**პროფესორი** (მიემართება ბიბლიოთეკისკენ): მოიცადეთ... (იღებს ერთ წიგნს). აი, ერთი კერძი, რომელიც თქვენს საკვებს დაემატება: კლენბუტინგენის „საშინელების პატივი“. მიირთვით.

**მარინა:** რა ცინიზმია! (ზურგს აქცევს).

**პროფესორი** (მარინას უახლოვდება, შემოაბრუნებს და ძალით ხელში ჩაუდებს წიგნს): დარწმუნებული ვარ, გესიამოვნებათ.

**მარინა** (დასჯილი ბავშვივით უყურებს წიგნს): კი არ ნავიკითხავ, დავწავ.

**პროფესორი** (ცდილობს, წიგნი უკან გამოართვას, მაგრამ მარინა მას მუცელზე მიიკრავს და ხელს არ უშვებს): მარინა! თუ დანვას აპირებთ, სხვა წიგნი აირჩიეთ!

**მარინა** (მიუბრუნდება): მართლა? იქნებ ისეთი ნაწარმოები გაქვთ, ამაზე უკეთ რომ იწვის?

**პროფესორი:** ისეთები მაქვს, რომელთა დანვაც ნაკლებ დასანანი იქნება.

ხიგხეი.

**პროფესორი** (თაროებზე ეძებს რომელიღაც წიგნს): სწორედ ამაზე ვსაუბრობდით თქვენს შემოჭრამდე... აჰა! აი, ეს შეგიძლიათ აიღოთ. (ფეხის წვერებზე იწევა და ორთომეულს გამოიღებს). სტერპენიხის „დღიური“. (წიგნებს მარინას უწვდის, ის კი არ ინძრევს). რატომ არ მართმევთ?

**მარინა**: საკმარისი არ არის.

**პროფესორი**: როგორ, ერთის მაგივრად ორს გაძლევთ, არამზადავ!

**მარინა**: არასწორად მსჯელობთ, პროფესორო. ერთი კლენბეტინგენი გაცილებით მეტია, ვიდრე ორი სტერპენიხი.

**დანიელი**: მარინა!

**პროფესორი**: ერთი ამ მეწვრილმანე დედაკაცს დამიხედეთ!

**მარინა**: შეგიძლიათ თვითონვე დაადგინოთ კლენბეტინგენის ფასი, პროფესორო. მისი ლიტერატურული გაქანების შეფასებას ვგულისხმობ. (ფიქრიანად იღიმის. პროფესორი თაროებს ათვალიერებს).

**პროფესორი**: რადგან სტერპენიხი გავწირეთ, მის „მარადიულ ბრძოლებსაც“ გიმატებთ და აგრეთვე ბელენდა ბატორიოსთან მისი მიმოწერის სამ ტომს. (ახლა უკვე ექვსი წიგნი უჭირავს). ეს უნდა იკმაროთ. ამაზე მეტს თქვენი სუსტი ხელებით ველარ დაიჭერთ.

ხიგხეის ეოთძახეთზე ახყობს იატაკზე. ძაოიხა ზედ ჯდება). გაძოძაოთვით თქვენი კლეინბეტიინგენი! (პროფესორი წიგნს ართმევს. მარინა დგება და ექვსივე წიგნს ერთად იღებს. გულიანად იცინის). სტერპენიხი! როცა მახსენდება, როგორ მაიძულეთ მისი წაკითხვა პირველ კურსზე!

**პროფესორი:** ახლა არ მითხრათ, რომ მართლა წაიკითხეთ.

**მარინა:** დიახ, წავიკითხე. ისეთი ჭკვიანი არასოდეს ვყოფილვარ, წაუკითხავი წიგნი წაკითხულად გამესაღებინა. სტერპენიხის ყველა ნაწარმოები წავიკითხე.

**პროფესორი (დანიელს მიუბრუნდება):** წარმოგიდგენიათ, დანიელ? ისეთი სტუდენტებიც გვყოლია, რომლებიც კითხულობენ, რასაც ვეუბნებით! ეს რომ მცოდნოდა, თავს ცოტათი უხერხულად ვიგრძნობდი აუცილებლად წასაკითხი ნაწარმოებების სიას როცა ვკარნახობდი! ჩემო საწყალო, მთელი გულით ვწუხვარ. (ამ სიტყვებით მარინასკენ მიბრუნდება).

**მარინა:** ძალიანაც ნუ იღარდებთ. ვერ წარმოიდგენთ, ახლა რა ნეტარებით შევუძახებ ცეცხლში. როცა ვკითხულობდი, ოთხი წლის წინ, მშვიდობა იყო და გაზაფხული იდგა: გაზაფხულისა და მშვიდობის დღეები გავაცდინე იმ აბდაუბდას კითხვაში ლექციაზე რომ გვიქებდით. ეს იქნება ყველაზე კანონიერი აუტოდაფე. ნახვამდის, პროფესორო. ამ საღამომდე, დანიელ. (გარბის).

**დანიელი:** თქვენი პალტო გაჰყვა... ხვალ მოგიტანთ.

**პროფესორი:** დაუტოვეთ, ჰქონდეს. მას უფრო სჭირდება, ვიდრე მე.

**პროფესორი:** ეგ დიდი დანაკარგი არ არის. თანაც, მართალია. თუ ნამდვილად მთლიანად წაიკითხა, მაშინ ამ პატარა შურისძიების უფლებაც აქვს. (ჯდება იმ სკამზე, სადაც ცოტა ხნის წინ მარინა იჯდა. ხელში ისევ კლეინბეტინგენის წიგნი უჭირავს).

**დანიელი:** და მაინც, მრცხვენია მისი საქციელის.

**პროფესორი:** ცდებით. მართალია, რასაც ამბობდა: ქალები უფრო მეტად იტანჯებიან სიცივისგან, ვიდრე მამაკაცები. მე შევამჩნიე, რომ ჩემი საყვარლების ოთხმოც პროცენტს ფეხები გაყინული ჰქონდა. და თანაც, ისინი ასეთი გამხდრები არ იყვნენ. თქვენს ბუმბულივით მსუბუქ მარინას რომ ვუყურებ და მის ფეხებს წარმოვიდგენ, იმ ფეხებს, რომლებსაც ამაღამ თქვენი ფეხები შეეხება, ეჭვიც არ მეპარება, მათი ტემპერატურა შემზარავი იქნება.

**დანიელი:** ასეცაა. მაგრამ უღირსად მოიქცა!

**პროფესორი:** მართალი ხართ. ოღონდ უხდებოდა კი. ერთგვარი პათეტიკური სილამაზე აქვს, რომელიც კადნიერებაში კიდევ მეტად იფურჩქნება. ლამაზი სპექტაკლი ვიხილეთ. აღიარეთ, რომ სტერპენიხის განირვა ამაღ ღირდა.

**დანიელი:** ვერასოდეს ვიფიქრებდი, ასეთი შემწყნარებელი თუ იქნებოდით.

**პროფესორი:** შემწყნარებელი არ ვარ. უბრალოდ, ვთვლი, რომ კარგი გემოვნება გაქვთ. მარინა კიდევ უფრო მეტად მომხიბვლელია, ვიდრე თქვენი შარშანდელი მეგობარი ქალი. ჰო, მართლა, რა ერქვა? ვერაფრით ვიხსენებ.

**პროფესორი:** საბედნიერო დაბობვა, რომელმაც თავიდან აგაცილათ აგვისტოს განშორების მძიმე რიტუალი.

**დანიელი:** პროფესორო! რა საზიზღარი ხართ! სონიას სიკვდილის შემდეგ მე შევიცვალე.

**პროფესორი:** ამით რისი თქმა გსურთ? სონია რომ ივნისში არ მომკვდარიყო, ახლა, დეკემბერში, ისევ მასთან იქნებოდით? ეს ზღაპარი სხვებისთვის შემოინახეთ.

**დანიელი:** არა. მარინაზე გეუბნებით. არა მგონია, აგვისტოში დავშორდე. მიყვარს.

**პროფესორი:** თქვენ ისინი ყველანი გიყვარდათ.

**დანიელი:** დიახ, მაგრამ სონიას სიკვდილის შემდეგ შევიცვალე.

**პროფესორი** (*უცებ დგება, მხრებს დამცინავად იჩეჩავს*). ჩემო დანიელ, ომმა მელოდრამატულ ადამიანად გაქციათ. კარგი იქნებოდა, ფატერნისი გადაგეკითხათ, სანამ თქვენს დულცინეას ცეცხლში მოუსროლია. (*ღუმელს უახლოვდება და საოცარი სინაზით უყურებს*). წარმომიდგენია, თავის სტუდენტურ ოთახში, ღუმელთან ჩაცუცქული, ანგელოზის ღიმილით როგორ წვავს სტერპენის... (*იღიმის*). ვწუხვარ, რომ ამის დანახვა არ შემიძლია.

**დანიელი:** სულ ტყუილად თამაშობთ ცინიკოსის როლს. როცა მარინაზე ლაპარაკობთ, მამასავით გიჩუყდებათ გული.

ძვეხიერი რომ არ იყოს, ეუჩაძი ისე გავუძახედი, ხმის აძოღეიასაც ვერ მოასწრებდა. ასე რომ, შენყვიტეთ ჩემი კეთილშობილი გულის ქება.

**პროფესორი:** რატომ ამბობთ ასეთ საშინელ რამეებს? ის არ გვეყოფა, რაც ომმა მოგვიტანა?

**პროფესორი:** მე ომმა სურვილი გამიჩინა, ბოლოს და ბოლოს, გულახდილი გავხდე. თქვენც გირჩევთ მომბაძოთ, რადგან ჩემზე გულახდილი არც თქვენ ბრძანდებით: მარინა ასეთი ლამაზი რომ არ ყოფილიყო, მფარველად არ მოევლინებოდით.

**დანიელი:** მერე რა? მიყვარს. ამიტომ ვარ ნაძირალა?

**პროფესორი** ჯიბეებში ხელებს ჩაიწყობს და მისკენ გაემართება.

**პროფესორი:** როგორც ლიტერატურაში, ყველაფერი დამოკიდებულია სიტყვების შერჩევაზე, ფრაზის აწყობაზე. თუ იტყვით „მარინას ვმფარველობ იმიტომ, რომ იგი მიყვარს“, ხალხი იფიქრებს, რომ ოქროს გული გაქვთ. თუკი სხვა სიმართლეს იტყვით, – რომელსაც სინამდვილეში არასოდეს იტყვით: „რაში მაინტერესებს ბერტას, ანას, სტეფანიას ბედი, მათი სიმახინჯე სასაცილოდ არ მყოფნის“ – დასკვნა თქვენ თვითონ გამოიტანეთ. არადა, გარკვეული კუთხით ეს ორი ფრაზა ერთმანეთის სინონიმებს წარმოადგენს.

**დანიელი:** გაჩუმდით. (ჯდება ისეთი სახით, თითქოს გული ერევა და წინ იხრება). ამ ნახევარი საათის განმავლობაში იმდენი სისასტიკე მოვისმინე, მთელი ცხოვრების მანძილზე რომ არ გამიგონია.

*ძოასხოეს, ოოდ ძოოიდახ საძიხელი აფეთქეთის ხძა გაისძის. დანიელი წამოხტება და წიგნების თაროებს მიაყურადებს).*

**დანიელი:** დაზუსტებით თქმა ძნელია. ხმა თითქოს უნივერსიტეტის მხრიდან მოვიდა, მაგრამ შეიძლება ძველი საწყობებიდანაც ყოფილიყო.

**პროფესორი:** საწყობებიდან იქნებოდა. იმ სულელ ბარბაროსებს ჰგონიათ, რომ კიდევ დაგვრჩა საკვები.

**დანიელი:** იმედი მაქვს, თქვენ გამოდგებით მართალი.

**პროფესორი:** დანიელ, უნივერსიტეტიდანაც რომ მოდიოდეს, მარინა ჯერ იქ არ იქნებოდა მისული: მართონელი კი არ არის. მოდით, დაჯექით. (*დანიელი ჯდება. უკიდურესად დაძაბულია. პროფესორი ჩამოჯდება იმ სკამზე, სადაც ცოტა ხნის წინ მარინა იჯდა*). ჯანდაბა, ეს რა აუტანელ კითხვას მისვამდა თქვენი გულის ვარდი. მას ჩვეულებრივად ასე სვამენ: „რომელ წიგნს წაიღებდით უკაცრიელ კუნძულზე?“ ამ კითხვას ყოველთვის სულელურად მივიჩნევდი, რადგან იგი აბსურდულია: უნივერსიტეტში პროფესორობას პრემიის სახით უკაცრიელ კუნძულზე მოგზაურობა რომ მოჰყვებოდა, ეს დიდი ხანია მეცოდინებოდა. მაგრამ თუ კითხვას შევაბრუნებთ, მართლაც არსებითი გახდება: რომელ წიგნებს გაიმეტებდით გასანადგურებლად? ომი რომ არ დაწყებულყო, ასეთ ჰიპოთეზას ვერასოდეს წარმოვიდგენდი. სტერპენიხი რომ არ მქონოდა, ნეტავ, რომელ მწერალს ავირჩევდი?

**დანიელი:** თქვენი ბიბლიოთეკიდან?

**პროფესორი**

ოევოლუციური აზრების ძეგლზე კაცის იდილიოთეკას ხაოძოადგეს. თქვენ რომელ წიგნს აირჩევდით?

**დანიელი** დგება, თაროების წინ დადის და წიგნებს უყურებს.

**დანიელი:** ძნელი სათქმელია... აი, ავიღოთ „მოძრავი ბოროტება“. ყოველთვის ვთვლიდი, რომ ეს ფოსტოლის ყველაზე ცუდი ნაწარმოებია, მაგრამ იგი მწერლის მთელი შემოქმედების გასაღებია. (წიგნს გამოიღებს და გადაშლის). და აჰა, ვინც კითხვას და უკვე ისე ცუდი აღარ მეჩვენება. შეიძლება იმიტომ, რომ გასანადგურებლად გავიმეტე.

**პროფესორი:** გამოუსწორებელი სენტიმენტალი ხართ. თქვენი აგვისტოს განშორებები გამახსენდა ისევ. ყოველ წელს, ივლისის თვეში ათასგვარ მომხიბლველობას პოულობთ ქალში, რომელიც ერთი თვის წინ უკვე მობეზრებული გყავდათ. მაგრამ ამას მხოლოდ განშორების პერსპექტივა გაკეთებინებთ, სხვა არაფერი. კარგი, გრძნობების აშლა აღარ გვინდა. თქვენს პირველ წინადადებას მივიჩნევ პასუხად: „მოძრავი ბოროტება“. ცუდი არჩევანი ნამდვილად არ არის.

**დანიელი:** ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს გამოცდას გაბარებთ.

**პროფესორი:** თანაც განსაკუთრებულს! გამოცდას აუტოდაფეში! მე ვარ თქვენი ლექტორი აუტოდაფეში, უნივერსიტეტის აუტოდაფეს კათედრის პროფესორი...

*შემორბის მარინა, წიგნები ხელებით მუცელზე აქვს მიკრული.*

*დგას. შაშაკაცი თუ ფეხზე დგებიან).*

**დანიელი:** უკვე მისული იყავი?

**მარინა:** თითქმის. ახლა ბინა აღარ მაქვს.

**პროფესორი:** აქ დარჩით, ჩემთან და დანიელთან ერთად. ცხოვრებასაც უფრო გაიადვილებთ.

**მარინა** (დანიელს შიშით უყურებს): მართლა?

**პროფესორი:** რა თქმა უნდა. ამას ოჯახური დაჯგუფება ეწოდება – ომამდელი მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტული სოციალური ფორმულა გახლდათ.

**მარინა:** თანახმა ხარ, დანიელ?

**პროფესორი:** ესეც ახალი ამბავი! ვინ უსვამს მამაკაცს ასეთ კითხვებს? თანაც, თუ მაინცადამაინც, მას კი არა, მე უნდა მკითხოთ: ეს ჩემი სახლია ომშიც და მშვიდობის დროსაც. სხვათა შორის, ჩემს სახლში იმიტომ კი არ მოგიპატიჟეთ, დანიელის შეყვარებული რომ ხართ, არამედ იმიტომ, რომ ომის მსხვერპლი აღმოჩნდით.

**მარინა** (ხმა თითქმის დაეკარგა): თუ შენ შენუხდები, სხვაგან წავალ.

**პროფესორი** (თვალებს ცაში აღაპყრობს): ნუთუ შეიძლება ადამიანი ასეთი უგერგილო იყოს!

იცხოვროვ.

**პროფესორი:** ო, რა ლენჩია! ნეტავ, რამე სარგებელს მაინც თუ იპოვი ამ სიტუაციიდან!

**მარინა** (*ჭიქურ შეხედავს პროფესორს*): თქვენ კი განზრახული გაქვთ, რამე სარგებელი ნახოთ?

**პროფესორი:** გამაოგნებელია. რამდენადაც გულუბრყვილოა, როცა თავის სატრფოს ესაუბრება, იმდენად ეშმაკდება, როცა მე მომმართავს.

**დანიელი** (*იცინის და მარინას მკლავებს ხვევს*): დასკვნა თქვენ თვითონ გამოიტანეთ, პროფესორო.

**პროფესორი:** თქვენ დანიელის საწოლში დაიძინებთ. ოღონდ იცოდეთ, საწოლი ერთკაციანია.

**მარინა:** ძალიანაც კარგი. უფრო თბილად ვიქნები.

**პროფესორი:** გესმით, დანიელ. თქვენ კი არ უყვარხართ, თქვენი სხეულის სითბო უყვარს.

**მარინა** (*დანიელის მკლავებიდან თავს ითავისუფლებს და პროფესორისკენ მიდის*): პროფესორო, მოდით, ნუ ვიომებთ, კარგი? ის ომი ვიკმართ, გარეთ რომ მძვინვარებს.

**პროფესორი**

ერთი პირობით: დათხოვხეთ სტუკაქიხი.

**მარინა** (*ყოყმანის შემდეგ პროფესორს გაუნვდის წიგნებს*): კეთილი.

**პროფესორი** *წიგნებს გამოართმევს და ღუმელისკენ მიემართება.*

**პროფესორი:** ვერავის დავუთმობ პრივილეგიას, ცეცხლს მისცეს ეს მოუშორებელი ჭირი! (*აღებს ღუმელის კარს*).

იგივე ოთახი. სიღრმეში მოჩანს ბიბლიოთეკის ნახევრად ცარიელი თაროები. თავიდან ფეხებამდე შეფუთილი მარინა მარტო ზის სკამზე. დაბნეული გამომეტყველებით ფურცლავს წიგნს. შემოდის პროფესორი. პალტოზე და ბეწვის ქუდზე თოვლი ადევს..

**პროფესორი** (თან ქუდს იხდის): არადა, პატარა რომ ვიყავი, თოვლი მიყვარდა! (პალტოს კართან კიდებს. მარინა კითხვას აგრძელებს. პროფესორი მას უყურებს): კერიის სიტკბო და სიხარული: ქალი კითხულობს მამაკაცის დაბრუნების მოლოდინში. ერთი ოცი კილო რომ დაგიმატოთ, ნამდვილი ოჯახის დიასახლისი იქნებოდით, მარინა. (მარინა ყურადღებას არ აქცევს). ქალი დგება და ბედნიერი შეძახილით ეგებება მამაკაცს.

**მარინა** (რომელმაც, როგორც იქნა, შეამჩნია პროფესორი): რამე მითხარით, პორფესორო?

**პროფესორი**: არა, არაფერი. ვოცნებობდი. (ჯდება მეორე სკამზე. ცუდი ამინდისგან არაქათგამოცლილია). რას კითხულობთ, შვილო ჩემო?

**მარინა** (პროფესორს არ უყურებს): „წინასწარმეტყველის აბჯარს“.

**პროფესორი**: კარგია. სორლოვის კითხვა კარგი საქმეა. მოხიბლული ვარ თქვენი სწრაფვით კულტურის ამალლებისკენ.

**მარინა**: დამცინით?

ახალგაზრდა ქალი ძიხად ისახავს, ხაიკითხოს ურთულესი ძხეოალი გამუდმებული დაბომბვის მიუხედავად, გულწრფელად მიმარჩია, რომ იგი აღფრთოვანების ღირსია.

**მარინა** (როგორც იქნა, შეხედავს, ძალიან მშვიდად): ურთულესი მწერლის ნაკითხვას არ ვაპირებ, პროფესორო. იცით, რას ვაკეთებ? ვკითხულობ ყოველ წინადადებას ნელა და დაკვირვებით და ვეკითხები ჩემს თავს: „ამ ქვემდებარეში, ამ ზმნაში, ამ დამატებაში, ამ ზმნიზებაში, არის კი რამე, რაც აჯობებდა ღუმელში აგიზგიზებულ ერთ კარგ ალს? ამ წინადადების სიღრმისეული აზრი (თუ იგი არსებობს) უფრო სასარგებლოა ჩემი ცხოვრებისთვის, თუ ამ ოთახში ტემპერატურის ერთი გრადუსით მომატება?“ აი, მისმინეთ, რომელიმე წინადადებას წაგიკიხავთ: „რა ხანია სახლში ჩაბუდებული სიჩუმე ასე საეჭვო არ მოსჩვენებია.“ ამ ფრაზას არაფერს ვუწუნებ. იმასაც კი ვხვდები, რაშია მისი სიღრმე, მაგრამ ვსვამ კითხვას: განა ამ საეჭვო სიჩუმეს მეტი ფასი აქვს, ვიდრე სითბოში გატარებულ ერთ წუთს?

**პროფესორი:** მშვენივრად იცით, რომ კონტექსტიდან ამოგდებული ფრაზის შეფასება არ შეიძლება.

**მარინა:** მზად ვარ, უკანვე ჩავაბრუნო თავის კონტექსტში: ემილმა მოისმინა დედამისის ჩივილები. სანოლში ჩაანვინა, შემდეგ შორიახლო მოკალათდა და გაზეთის კითხვა დაიწყო. ელოდებოდა, როდის ჩაიძინებდა საცოდავი ქალი. მე მესმის, რა მწარეა უსუსურობის შეგრძნება დედის ტანჯვის წინაშე, მესმის, რატომაც ეჩვენება სიჩუმე საეჭვოდ. მაგრამ არ მესმის, რითი სჯობს ეს ფრაზა სითბოში გატარებულ ერთ წუთს.

**პროფესორი:** თქვენ სტილი გავიწყდებათ, მარინა.

შეტად აძლევს საეჭვო ელფეოს. „ვის უაიოეიხ დაგესლვას თავს შოსისიხე გველები?“ **U** ბრავო, სორლოვ! მაგრამ როგორ დამავინყებს ალიტერაცია იმას, რომ ვიყინები?

**პროფესორი:** ვერ დაგავინყებთ. მაგრამ ეს ამბავი ხდება უდიდესი ნგრევის დროს, უკანასკნელი ომის ამ ეტაპზე იმედი გადანურული გვექონდა. ახლა ხვდებით, მის მნიშვნელობას?

**მარინა:** დიახ. ჩემთვის ეს იმედის აუცილებლობის საუცხოო მინიშნებაა. მაგრამ გარწმუნებთ, იმედის ქონის საუცხოო მინიშნება არ მათბობს.

**პროფესორი:** გეყოფათ, მარინა! ლიტერატურის მიზანი თქვენი გათბობა არ არის.

**მარინა:** მართლა? *(გაცოფებული იატაკზე მოისვრის წიგნს)*. მაშინ ლიტერატურა ფეხებზე მკიდია!

**პროფესორი:** საცოდავი პატარა პრიმიტიული იდიოტი!

**მარინა (მშვიდად):** თუ ლიტერატურა ისეთი ცინიკოსია, რომ ვერ ამჩნევს, რარიგ ვიტანჯები, ვერ ვხვდები, მე რატომ უნდა ვცე პატივი.

**პროფესორი:** თქვენ ცხოველი ხდებით, მარინა.

**მარინა:** არ ვხდები: მე ცხოველი ვარ.

**პროფესორი**

ხვა ძხოლოდ ორ ხუთს გაგოძელდეია.

**მარინა:** რა საჭიროა მარადისობის გაფრთხილება?

**პროფესორი:** მარადისობა სულაც არ არის ცუდი.

**მარინა:** რატომ?

**პროფესორი:** იმიტომ, რომ დიდხანს გრძელდება.

**მარინა:** თხუთმეტი დისერტაცია იმისთვის დაწერეთ, რომ ეს აღმოჩენა გაგეკეთებინათ?

**პროფესორი:** თხუთმეტი დისერტაცია იმისთვის არ დამიწერია, რომ გამეგო, რა არის მარადისობა. მარადისობის შეგრძნობა თანდაყოლილია. ან გვაქვს, ან არ გვაქვს. ნათელია, რომ თქვენ არ გაქვთ, ან დაკარგეთ.

**მარინა:** თუნდაც მქონოდა როდისმე, დღეს მე მცვივა! მარადისობა ვერ აჯობებს სითბოში გატარებულ ორ წუთს.

**პროფესორი:** ცხადია, გცივათ! საათობით გაუნძრევლად ზიხართ! თუ გცივათ, უნდა გაინძრეთ, იმოძრაოთ!

**მარინა (გაუნძრევლად):** რა კარგი იდეაა. რა მოძრაობას მთავაზობთ? მაგალითად, ქუჩაში გასეირნებას? იქ კიდევ უფრო მეტად ცივა და ყოველ მეორეს ბრმა ტყვია ხვდება. საუცხოოა.

იძოძოავოთ. ძაგალითად, იცეკვოთ. თქვენს ასაკს ძეეფოეია კიდეც.

**მარინა:** ვიცეკვო? მართო და თანაც მუსიკის გარეშე?

**პროფესორი:** რატომაც არა? მინიმალისტური ქორეოგრაფიის დიდი მიღწევა იქნებოდა. როგორ დატკბებოდნენ თქვენით დასავლეთში!

**მარინა:** მარადისობის შემდეგ დასავლეთზე ალაპარაკდით! დიდ და არარსებულ რამეებზე ლაპარაკის უბადლო ნიჭი გაქვთ!

**პროფესორი:** ბრწყინვალეა, მარინა! შეგიძლიათ ლექსიკონების შემდგენლებს შესთავაზოთ: „დასავლეთი: დიდი და არარსებული რამ, იხილეთ მარადისობა“ – მარადისობა მსხვილი ასოებით. ო, მაპატიეთ.

**მარინა:** რა უნდა გაპატიოთ?

**პროფესორი:** სიმსხვილე რომ წამომცდა, თქვენ წინაშე, უტაქტოდ გამომივიდა. ეს იგივეა, საჰელში <sup>[2]</sup> რომ წყალვარდნილი მეხსენებინა.

**მარინა (ამაყად):** ამაზე უნ დარდობთ. ხომ არ გგონიათ, ცხიმი მენატრება? ყოველთვის მეჭავრებოდა. მე მხოლოდ ცეცხლი მსურს, ალი, წვა!

**პროფესორი:** ჩემო პატარავ, საღამომდე უნდა მოიცადოთ. თქვენ თვითონ შემოიღეთ ეს წესი: ცეცხლი ყოველ საღამოს დაძინებამდე ერთი საათით ადრე.

**მარინა**

აიკეცავს და სასოხარკვეთილი სახით ზედ ხელეის ძეძოაყდოს. პროფესორი თანაგრძნობით უყურებს).

**პროფესორი:** სასონარკვეთილება არ გაგათბობთ. უნდა იმოდრავოთ, მარინა. იმოდრავეთ!

**მარინა:** რა გავაკეთო? როგორ ვიმოდრავო, ასე, უაზროდ? ვიმოდრავო, იმიტომ რომ ვიმოდრაობდე?

**პროფესორი:** დიახაც! მთავარია გათბეთ. რა მნიშვნელობა აქვს, რა მოძრაობებს გააკეთებთ!

**მარინა (გაუნძრევლად):** არ ვიცი. მე მგონი, უმიზეზოდ მოძრაობა ადამიანის ბუნებისთვის მიუღებელია.

**პროფესორი:** რა არის ადამიანური ბუნება?

**მარინა:** ეს არის ის, რასაც ადამიანები აკეთებენ.

**პროფესორი:** ბრწყინვალე პასუხია! მათემატიკის ფაკულტეტის დეკანს მაგონებთ. მას ერთხელ ჰკითხეს: „შეგიძლიათ განსაზღვროთ, რა არის მათემატიკა?“ მან უპასუხა: „ეს არის ის, რასაც მათემატიკოსები აკეთებენ“.

**მარინა:** სწორად უპასუხია.

**პროფესორი:** მაინც, რას აკეთებენ ადამიანები, მარინა?

**პროფესორი:** უდავო ჭეშმარიტებაა. ქალები რას აკეთებენ?

**მარინა:** იმას, რასაც მამაკაცები.

**პროფესორი:** თქვენ ომობთ?

**მარინა:** ჩვენ ყველანი ვომობთ, პროფესორო.

**პროფესორი:** რაში გამოიხატება თქვენი ომი, მარინა?

**მარინა:** ჩემი ომი ყველაზე უარესია. იგი გამოიხატება ტანჯვაში, ჰეროიზმისთვის არავითარ შანსს არ მიტოვებს: ჩემი ომი ისაა, რომ მცირა. წაგიკითხავთ ბერნანოსი?

**პროფესორი:** სტუდენტი ამოწმებს პროფესორის ცოდნას. მე არ ვასწავლი ფრანგულ ლიტერატურას, მაგრამ ბერნანოსი წამიკითხავს, დიახ. რატომ მეკითხებით?

**მარინა:** მან მსოფლიოს უდიდესი ჭეშმარიტება დანერა, რომელიც სულ ერთი წინადადებით გამოიხატება: „ჯოჯობეთი სიცოცხლე“.

**პროფესორი:** დიახ. ოღონდ, არა მგონია, ამ ფრაზაში ის აზრი ჩაექსოვებინოს, რასაც თქვენ ანიჭებთ.

**მარინა:** რა მნიშვნელობა აქვს! ეს ფრაზა ყველანაირი აზრით ჭეშმარიტებას

ვითაბ. ჯოჯოხეთი სიცივეა. ძე ჯოჯოხეთში ვაო. აქ ძეტი აღაოაფეოია სათქმელი.

**პროფესორი** (მტკიცედ): მაგრამ არის გასაკეთებელი. იმოდრავეთ, მარინა! (მარინას ხელები ისევ მუხლებზე აქვს მოხვეული და არ ინძრევა). თუკი აუცილებლად რამე მიზეზი გჭირდებათ, რომ გაინძრეთ, ათასს გიპოვით. ნახეთ, ოთახი ჭუჭყით სავსეა! აიღეთ ცოცხი, მტვრის ტილო და დაასუფთავეთ.

**მარინა:** კიდევ რა გნებავთ, თქვენი დამლაგებელი კი არ ვარ!

**პროფესორი:** რა თქმა უნდა, არ ხართ. ეს იმიტომ გითხარით, რომ სამოდრამ საბაბი მომეცა, თქვენ ხომ საბაბი გჭირდებათ.

**მარინა:** რა კარგი საბაბი იპოვეთ, თქვენთვის სასარგებლო, არა?

**პროფესორი:** მთავარი ეს არ არის. იმ ლატაკივით იქცევით, თავისივე თავმოყვარეობის მსხვერპლი რომ ხდება.

**მარინა:** გასაკვირი არაფერია. ყოველთვის ლატაკი ვიყავი.

**პროფესორი:** და როცა ლატაკებს სცივათ, სკამებზე სხედან გაუნძრევლად?

**მარინა:** დიახ. მდიდარი უნდა იყო, რომ მოქმედების ძალა გქონდეს. როცა ლატაკებს სცივათ, ბელურებივით იქცევიან: იბუზებიან, საკუთარი ბუმბულის სითბოში ეფლობიან და აღარ ინძრევიან.

ჩაეფლოით.

**მარინა:** დიას, ბუმბული თითქმის აღარ შემრჩა.

**პროფესორი (უცებ დგება):** ამიტომაც, ბელურების ხერხი არ გამოგადგებათ. (მარინას უახლოვდება და ხელს უწვდის). წამოდით.

**მარინა (გაუნძრევლად):** სად?

**პროფესორი:** ხომ მითხარით, მარტო ცეკვა არ მინდაო. მაშინ ჩემთან ერთად იცეკვეთ.

**მარინა:** სასაცილო იქნება.

**პროფესორი:** გმადლობთ.

**მარინა:** უმუსიკოდ როგორ ვიცეკვო!

**პროფესორი:** რას იზამთ, ომია. წამოდით.

*მკლავზე ხელს ჰკიდებს და ექაჩება, რომ სკამიდან ააყენოს. ერთხანს ასე ჭიდაობენ: მარინა უძალიანდება, პროფესორი მაინც წამოაყენებს და ხელს ხვევს ისეთნაირად, რომ ტანგოს საცეკვაო პოზაში აყენებს. მარინა აღუჯავივით იბრძვის პროფესორი მას ოთახში გაატარებს საბრძოლო ტანვოთი. ბრძოლის შთაბეჭდილებას აძლიერებს ის, რომ ყველაფერი უხმოდ ხდება. ბოლოს, მარინა თავს ითავისუფლებს და ოთახის მეორე ბოლოსკენ გარბის*

*თეატრეოდეია.*

**პროფესორი:** დარწმუნებული ვარ, ახლა ნაკლებად გცივათ.

**მარინა** (*აღშფოთებული*): არ გრცხვენიათ?

**პროფესორი:** სულაც არა, პირიქით. ხომ გაგათბეთ.

**მარინა:** კი არ გამათბეთ, გამყინეთ. სასაცილო მდგომარეობაში ჩაგდებულ ადამიანს სიცივე იტანს!

**პროფესორი:** თქვენ თვითონ ხართ სასაცილო. მაინც რას თამაშობთ? დამფრთხალი ქალწულის როლს? რითი ნავბილწე თქვენი შეუდარებელი სხეული?

**მარინა** *არაფერს პასუხობს, სკამზე დასაჯდომად ბრუნდება და თან პროფესორს გამგმირავ მზერას ესვრის. ძველ პოზას იბრუნებს: ფეხებს სკამზე შეაწყობს და მკლავებს მუხლებზე შემოიხვევს.*

**პროფესორი:** რა იყო, გეგონათ, მომესურვეთ როგორც ქალი? (*დუმილი*). ვწუხვარ, თუ გაგანბილებთ, მაგრამ საერთოდ არ მსურხართ. (*ისევ დუმილი. ბრუნდება დასაჯდომად*); მეტისმეტად გამხდარი ხართ, მამაკაცში სურვილს ვერ აღძრავთ.

**მარინა** (*მშვიდად*): როდის გიხსენეთ სურვილი, პროფესორო?

**პროფესორი**

## ამელი ნოტომი

ოთახში უალი და ძაძაკაცი ძაოტოხი ოხეიას, ადაძიახეიი ძხოლოდ ეოთ რამეზე ფიქრობენ.

**მარინა** (ისევ მშვიდად): ადამიანები? ადამიანებს არაფერი უთქვამთ. აქ ჩემსა და თქვენს მეტი არავინაა. სურვილზე კი თქვენ ალაპარაკდით.

**პროფესორი** (ამოიოხრებს და დგება): კარგი, გეყოფათ, მარინა. ნუ ცდილობთ, რომ სიტუაციით ისარგებლოთ. (მარინას ზურგს აქცევს და ბიბლიოთეკისკენ მიემართება).

**მარინა**: ვერ ვხვდები, რა სარგებელი შეიძლება ვნახო ამ სიტუაციიდან.

**პროფესორი** (წიგნებს უყურებს): ითამაშეთ უცოდველობა, თქვენნაირ სილამაზეს უხდება კიდევ. (მარინა მხრებს იჩეჩს, დგება, იღებს ძირს დაგდებულ წიგნს, ლუმელთან მივა და ჩაიმუხლებს. ეძებს ასანთის კოლოფს. დაუფარავად მოქმედებს. პროფესორი თავს მისკენ მიაბრუნებს და დაინახავს). შეიძლება ამიხსნათ, რა როლს თამაშობთ? (მარინა არ პასუხობს, ასანთის კოლოფს პოულობს და წიგნის დაფლეთას აპირებს, მაგრამ პროფესორი ეცემა და ხელიდან გამოგლეჯს). გაგიჟდით?

**მარინა** (ხმამალლა): მცირა (ისევ ჩამუხლულია).

**პროფესორი**: გავიგე!

**მარინა**: არა, ვერ გაიგეთ! რომ გესმოდეთ, რა აუტანელია ჩემთვის ეს სიცივე, დიდი ხანია გამათბობდით! სულ ცოტათი მაინც რომ გქონდეთ წარმოდგენა,

თქვეს ეს არ გესძით, არავის ესძის – იმიტომ, რომ არავის არავის არ გაიმეტებდა ასეთი ტანჯვისთვის!

**პროფესორი:** როგორ გგონიათ, მარტო თქვენ ხართ ასე დღეში?

**მარინა:** არ ვიცი, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს. ჯოჯობეთში ვარ! (ისევ მუხლებზე დგას, მუშტებს იატაკს დაუშენს და ყვირის). ჯოჯობეთში ვარ! ჯოჯობეთში ვარ! ჯოჯობეთში ვარ!

**პროფესორი** (მივარდება, მის უკან ჩაიმუხლება, თავს დაუჭერს და პირზე ხელებს ააფარებს): გაჩუმდებით თუ არა, პატარა ახტაჯანავ! (მარინა თავს იცავს, წინ გადაიხრება, პროფესორი ზემოდან მოექცევა, მაგრამ პირზე ხელებს ველარ აფარებს).

**მარინა** (ყრუ ხმით): რატომ გავჩუმდე? ჩემი მაინც არავის ესმის.

**პროფესორი** (ისევ ზემოდანაა მოქცეული): სწორედ იმიტომ, რომ თქვენი არავის ესმის.

**მარინა:** ესე იგი, არავის ვაწუხებ.

**პროფესორი:** მე მანუხებთ.

**მარინა:** რატომ? რას გიშავებთ?

**პროფესორი** (წელში სწორდება, დგება და ათავისუფლებს მარინას. მარინა იატაკზე ზის). ვერ ვიტან, როცა ქალები ისტერიკას მართავენ.



ათახა ძოუხდა! (სიცილისგან კიოქვე ეძხოთა იატაკზე) ოა საძინელი იედი გაქვთ! (იცინის, მაგრამ მისი სიცილი მალე კონველსიურ ქვითინში გადადის).

**პროფესორი** (ფეხზე დგას და ზიზღით უყურებს): ახლა ტირის! რაში გარგიათ ეს ტირილი?

**მარინა**: ტირილი მარგია ტირილში! (სლუკუნებს, შემდეგ ცოტათი მშვიდდება და წამოჭდება. ლოყებზე ცრემლები ჩამოსდის). თანაც მათბობს. არ შეგიმჩნევიათ, პროფესორო, რომ ცრემლები ყოველთვის ცხელია? (ახლა უკვე მშვიდად ლაპარაკობს, ცრემლებს თითებით სინჯავს, აკვირდება). უცნაურია, რატომაა ცრემლები ცხელი? საიდან მოდის ეს სიმხურვალე? ჩემი სხეულიდან ვერ წამოვა, ყველაფერი გაყინული მაქვს. რატომ ისურვა ბუნებამ, რომ ცრემლები ცხელი ყოფილიყო?

**პროფესორი** (ჭდება): შუაგულ მეტაფიზიკაში დავცურავთ! რატომ ისურვა ღმერთმა, რომ ცრემლები ცხელი ყოფილიყო?

**მარინა** (მშვიდად): ღმერთზე არ გელაპარაკებით. მაგრამ ცრემლები რომ ცხელია, ეს კარგია. შესანიშნავია! ქაფქაფა შხაპი მახსენდება, ომამდე რომ ვიღებდი. სააბაზანოში ოხშივარს რომ აყენებდა! ყველაფერს მივცემდი, ყველაფერს და კიდევ მეტს ერთ ცხელ შხაპში!

**პროფესორი**: „ყველაფერს და კიდევ მეტს“: ნეტავ, რისი მიცემა შეგიძლიათ. ტანსაცმლის გარდა, რაც ზედ გაცვიათ, არაფერი გაგაჩნიათ. ან ეგ ტანსაცმელი ვის რაში სჭირდება?

**მარინა** (გააურუოლებს): ჩემს ტანსაცმელს იმპერიაზეც არ გავცვლი!

**მარინა:** რატომ მექცევით ასე სასტიკად, პროფესორო?

**პროფესორი:** (დგება, მისკენ მიდის, ხელებს ჰკიდებს და ნაზად ააყენებს, ხელებს არ უშვებს): სასტიკად არ გექცევით. ვცდილობ, უბრალოდ, თქვენს ტვინში რამე შევიდეს.

**მარინა (იღიმის):** ქალაქის ირგვლივ მრავლად არიან ბარბაროსები. ამის გაკეთება არ გაუჭირდებათ.

**პროფესორი:** ეს სასაცილო არ არის, მარინა (ხელს კიდევ არ უშვებს. ძალიან ნაზი სცენაა).

**მარინა:** იქნებ, ჯობს მოვკვდეთ, პროფესორო?

**პროფესორი:** სიკვდილი ადვილი არ არის.

**მარინა:** როგორ არა. იცით, როგორ იქცევიან, ვისაც სიკვდილი სურთ? გამოსასვლელ ტანსაცმელს იცვამენ და სასეირნოდ მიემართებიან დიდ მოედანზე, მანამდე სეირნობენ დაუფარავად, სანამ რომელიმე ბარბაროსის ტყვია არ ეწევათ.

**პროფესორი:** თქვენ გამოსასვლელი ტანსაცმელი არ გაქვთ.

**მარინა (ღიმილით):** ჩემი აზრით, ბარბაროსები ამ წვრილმანის გამო არ შეწუხდებიან.

**მარინა (იცინის):** თქვენ შენუხდებით, ულამაზო ტანსაცმლით რომ მოვკვდები?

**პროფესორი:** მე შევწუხდები, თუ მოკვდებით.

**მარინა:** რატომ? აღარ მოგიწევთ თქვენი ძვირფასი წიგნების დანვა. მოისვენებთ, ბოლოს და ბოლოს.

**პროფესორი:** მე თქვენ ძალიან მიყვარხართ, მარინა.

**მარინა:** რომ გიყვარდეთ, გენდომებოდათ, რომ თავი უკეთ ვიგრძნო.

**პროფესორი:** ვიცი, რასაც გულისხმობთ. მინდა, რომ თავი უკეთ იგრძნოთ, მაგრამ ყველა წიგნი რომ ერთბაშად დავწვა, ხვალ რითი დავანთოთ ცეცხლი?

**მარინა (ისეთ სახეს იღებს, რომ ცხადზე ცხადს ამბობს):** ხვალ მოვკვდებით.

**პროფესორი:** დარწმუნებული არ ვარ.

**მარინა:** საკმარისი არ არის, რომ ასეთი შესაძლებლობა არსებობს?

**პროფესორი:** არა.

**მარინა:** წარმოიდგინეთ, რომ ამ საღამოს ერთი ბომბი დაგვეცეს. წიგნებიც ჩვენთან ერთად განადგურდება, ისე, უბრალოდ! ასე უქმად!

ხვალ აოც ერთი ხიგზი აღაო გვეოხდეს, იძიტოძ, ოოძ ყველა დღეს დავხვით. საშინელება არ იქნება?

**მარინა:** არა. ჯერ ერთი, იძიტომ რომ გადასარევი ცეცხლი დაინთებოდა, სითბო ორი საათით მაინც შენარჩუნდებოდა. მეორეც, იძიტომ, რომ სიკვდილის გახსენებაზე აღარ გავცოფდებოდი. ახლა ყველაზე მეტად ის მაგიჟებს, რომ შეიძლება მანამდე მომკლან, სანამ უკანასკნელ წიგნს დავწვავ.

**პროფესორი:** ესეც დამატებითი მიზეზი, რათა ეკონომიურად ვხარჯო ისინი. სულაც არ მინდა, რომ თავი მოიკლათ. ახლა ყველაფერი გასაგებია. როცა ბოლო წიგნს დავწვავთ, თქვენ დიდ მოედანზე გაისეირნებთ.

**მარინა:** რაში გჭირდებათ ჩემი სიცოცხლე?

**პროფესორი:** თქვენ თვითონ გჭირდებათ.

**მარინა:** რისთვის? ხომ ხედავთ, დროს რაში ვატარებ? მერწმუნეთ, ასეთ სიცივეში ვერასოდეს ვერაფერს გავაკეთებ.

**პროფესორი:** მარინა, ის ჰიპოთეზაც ხომ არსებობს, რომ ერთ დღეს ომი დამთავრდება და თქვენ იმ დროისთვის ისევ ცოცხალი იქნებით. ვაღიარებ, რომ ამისი შანსი ძალიან პატარაა, მაგრამ თქვენსავე ენაზე რომ ვთქვათ, განა საკმარისი არ არის, რომ ასეთი შესაძლებლობა არსებობდეს?

**მარინა:** ამაზე მეც ვიფიქრე.

**მარინა:** ცხოვრებას ისე მოვიწყობ, რომ არასოდეს შემცივდეს, მაგრამ ცხოვრებაში აღარაფერს გავაკეთებ. ამ ომის გამო, სამუდამოდ დავკარგე რამე ახლის შექმნის სურვილი. მე სითბოზე ვოცნებობ, სიცოცხლეზე კი არა. როგორ შეიძლება სიცოცხლეს ვესწრაფვოდე მას შემდეგ, რაც მისი ნამდვილი ბუნება გავიცანი?

**პროფესორი:** მისი ნამდვილი ბუნება! თითქოს მართლა იცნობთ!

**მარინა:** პროფესორო, არაფრის სურვილი არ მაქვს, სითბოს გარდა!

**პროფესორი:** ცხადია. ოღონდ, როცა გათბებით, მერე ათასი რამ მოგიჩნდებათ. ამას მოთხოვნილებათა იერარქია ეწოდება.

**მარინა:** აბა, მითხარით, რას გავაკეთებ ცხოვრებაში.

**პროფესორი:** პირველ რიგში, სწავლას დაასრულებთ.

**მარინა (იციინის):** რა მიმზიდველია!

**პროფესორი:** გათხოვდებით, შვილები გეყოლებათ.

**მარინა (იციინის):** კიდევ უკეთესი!

**პროფესორი:** ყველა ქალი ასე იქცევა.

**მარინა (იციინის):** რა თვალისმომჭრელი არგუმენტია!

**მარინა:** არ ვიცი. მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ ომი დამთავრდება, ვერ წარმომიდგენია, რომელიმე ქალს შვილის გაჩენის სურვილი აღეძრას.

**პროფესორი:** ახლა ამის თქმას არავითარი აზრი არ აქვს. ომამდე რა გსურდათ?

**მარინა:** ვინმე შემყვარებოდა.

**პროფესორი:** ბედნიერი ყოფილხართ! ეს აღსრულდა!

**მარინა (მწარედ იცინის):** ალელუია!

**პროფესორი:** და გინდოდათ, შვილები გაგეჩინათ, ხომ ასეა?

**მარინა:** აღარ მახსოვს. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ომამდე რა მსურდა. ერთი რამ ცხადია: აღარასოდეს გავხდები ისეთი, როგორც ვიყავი ომამდე.

**პროფესორი:** ეგ არავინ იცის.

**მარინა (შოკირებული):** არა! მე ვიცი! დაუშვებელია, რამე ისევ ისეთი გახდეს, ომამდე რომ იყო.

**პროფესორი:** არადა, სწორედ ასე მოხდება. ყველა ომის შემდეგ ასე ხდება.

**მარინა:** ესეც კიდევ ერთი მიზეზი, რატომაც არ უნდა ვიცოცხლო. ამის ნახვას ვერ ავიტანდი!

გაძდაოი და ჯახოთელოიააეოყეული. როცა ფეოხოოციახი უალიატოხი გახდებით, ყველაფერი მოგეწონებათ.

**მარინა** (პროფესორს ხელებს გამოსტაცებს და ასოთხმოცი გრადუსით შეტრიალდება): აუტანელია ამის მოსმენა!

**პროფესორი:** ცხოვრება ესაა, შვილო ჩემო!

**მარინა:** ჰოდა, თუ ცხოვრება ესაა, არავითარი სურვილი არ მაქვს მისი გაცნობის!

**პროფესორი** (მარინასთან მიდის და უკან გადაზნექს): როგორ არა, გაქვთ.

**მარინა:** მირჩევნია, მოვკვდე! (პროფესორი ტურებს ადებს ყელზე). არა. (მოთენთილი ხმით, მაგრამ გაღიზიანებული არ არის. პროფესორი აგრძელებს). არა! არა! (მარინა თავს ითავისუფლებს. უფრო სასონარკვეთილია, ვიდრე აღშფოთებული).

**პროფესორი:** რატომ არა?

**მარინა:** იმიტომ, რომ არ მიყვარხართ. (პატარა გაბუტული გოგონასავით).

**პროფესორი:** სიყვარული ვინ გიხსენათ!

**მარინა:** მე ვახსენე. მე დანიელი მიყვარს.

**პროფესორი**

კაოგად გესძით, ოოძ სხვა გზა აო გაუვთ. (აქაძდე, იგი ძაოიხას უახლოვდებოდა და ქალი უკან იხევდა. ამ სიტყვებზე კი მარინა გაჩერდა).

**მარინა:** ისე, არასწორად ვიქცევი, უარს რომ ვამბობ. გასათბობად ამაზე უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებს კაცი.

**პროფესორი:** და ეს ცინიკოსი აცხადებს, რომ შეყვარებულია! (იცინის).

**მარინა:** დიახ, შეყვარებული ვარ. რაც თქვენთან მოხდება, იმას სიყვარულთან კავშირი არა აქვს.

**პროფესორი:** მართალია. (ხმას აუნევს) „ბატონო, თქვენ მიიღებთ ჩემს სხეულს, მაგრამ არა ჩემს სულს“, ხომ ასეა?

**მარინა:** სულ ფეხებზე მკიდია, რას მიიღებთ. მე ხომ გავთბები. ჩემთვის მთავარი ესაა. (მოკლე ნაბიჯებით უახლოვდება). ერთი სული მაქვს, როდის აღმოვჩნდები თქვენს მკლავებში, რათა თქვენი სხეულის სითბო შევიგრძნო. თქვენ კი არ გამომიყენებთ, მე გამოგიყენებთ.

**პროფესორი (ღმობიერი სიცილით):** თქვენ გამომიყენებთ? როგორ აპირებთ?

**მარინა** (ისევ პროფესორისკენ მიემართება პატარა ნაბიჯებით. პროფესორი შეუმჩნევლად იწყებს უკან დახევას). მოვახერხებ. (გულგრილად, დაუნდობლად, მაგრამ აგრესიის გარეშე). აი, ნახავთ, პირველი ნამიდანვე მომეწონება და უდიდეს სიამოვნებას მივიღებ (ბედნიერად იღიმის). ოღონდ არა იმის გამო, რაც თქვენ გგონიათ. როგორც კი მკლავებს მომხვევთ, ტანჯვას შევწყვეტ, რადგან თქვენი მუცელი გამათბობს.

**მარინა:** უფრო თბილი ხართ, ვიდრე მე, მთავარი ესაა. ისეთი გრძნობა მექნება, თითქოს ცხელი რამ შემეხო და თქვენს ტემპერატურას სხეულის ყველა ნაწილით შევიწვოვ, სადაც კი ხორცი მაბია.

**პროფესორი (შეცბუნებული უკან იხევს):** ხორცი კიდევ დაგრჩათ?

**მარინა (ტურზე იკბენს):** კანიც მეყოფა. კანითაც შეიძლება სიამოვნების მიღება. სხვათა შორის, არის დღეები, როცა ჩემს თავს ვეუბნები, რომ სიამოვნების მიღება ნებისმიერი რამით შეიძლება-მეთქი.

**პროფესორი:** მე, ალბათ ეს ნებისმიერი რამე ვარ, არა?

**მარინა:** თქვენც გამოდგებით, მიუხედავად იმისა, რომ მეზიზღებით – ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ. (ანგელოზის ღიმილი). სახეზე სიამოვნება აღმებეჭდება, სხეული დაგნებდებათ და გეგონებათ, რომ კარგი საყვარელი ხართ. მაგრამ ჩემთვის მხოლოდ სათბურა იქნებით. და სინამდვილეშიც რომ კარგი საყვარელი გამოდგეთ, სითბოს ძალა ყველაფერს გადააჭარბებს... ყველა შეგრძნებას (კისკისებს), რომელთაც ალბათ ვერც კი შევამჩნევ (გულიანი სიცილი უტყდება, თითქოს საუკეთესო ხუმრობა მოისმინაო). უკან რატომ იხევთ, პროფესორო? აღარ გინდივართ? (ნაზად უღიმიხ).

**პროფესორი:** ასე ძალიან გცივათ?

**მარინა:** ახლა შეამჩნიეთ?

**პროფესორი:** შედეგს ვხედავ. ნამდვილი ურჩხული გახდით.

**პროფესორი:** მშვენიერი ხართ. დემონური.

**მარინა:** იმდენი ხანია, ჯოჯობეთში ვარ, რა გასაკვირია, რომ დემონური გავხდი? ჯოჯობეთი სიცივეა. რომ იცოდეთ, რა რაოდენობით სიცივე გამიჭდა ტანში. გაყინულ სხეულს კი ერთი ფიქრი აქვს – იპოვოს რამე ცხელი, სულ ერთია რა, ნებისმიერი რამ, ჩაებლაუჭოს, მთლიანად შთანთქოს მისი სითბო, ის რამდენიმე გრადუსი, რომელმაც ამხელა ნაპრალი გათხარა თქვენსა და ჩემ შორის, რომელთა წყალობითაც თქვენ ადამიანი ხართ, მე კი ჯოჯობეთში გამომწყვდეულ ცხოველად ვიქეცი (*სიტყვას „ჯოჯობეთი“ ყვირილით ამბობს*). მე მათ წაგართმევთ! კარგად დაინახავთ, როგორ მოვახერხებ ამას.

**პროფესორი** (*უკან აღარ იხევს, მშვიდად, სერიოზულად*): არა.

**მარინა:** რა არა? აღარ გინდათ?

**პროფესორი:** მინდა, მაგრამ ის რამდენიმე გრადუსი, რომელიც ერთმანეთისგან გვყოფს, მაიძულებს უარი ვთქვა. ასე არ მინდა.

**მარინა** (*ზიზღნარევი სიცილით*): რა ქედმაღლობაა!

**პროფესორი:** ქედმაღლობა აქ არაფერ შუაშია.

**მარინა:** დამაცალეთ, მე თვითონ მივხვდები: გინდოდათ, თქვენ ბოროტი ყოფილიყავით, მე კი მსხვერპლი, არა? საქმე კი ისაა, რომ სრულიად არ მსურს, ვიყო მსხვერპლი, მაგრამ მთელი გულით მნადია, ვიყო ბოროტი. აი, ეს

ძოძხოს. (ძარიხა ძის ხიხ გაძათული დგას, დეძოხუოი ღიძილი დასთამაშებს ტუჩებზე. პროფესორი კი გაშეშებულია, ემოციის ნასახიც არ ეტყობა).

**პროფესორი:** არ გინდათ, მარინა. დანიელივით მოიქეცით: ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში წადით და გათბობის მილებს ჩაეკარით.

**მარინა:** რა მესაქმება ფაკულტეტის გათბობის მილებთან, როცა აი, აქვე მყავხართ, ზედ ჩემს მუცელთან?

**პროფესორი:** გათბობის მილები უფრო მეტ ხანს დარჩება თბილი.

**მარინა:** მილები ჯოჯოხეთში არ წავლენ. მე კი მჭირდება, დიახ, მჭირდება, რომ თქვენ ჯოჯოხეთში გაგისტუმროთ! სითბოს მხოლოდ მაშინ შევიგრძნობ, როცა თქვენც ისე შეგცივდებათ, როგორც მე მცივა. უნდა იგრძნოთ, რას ნიშნავს ეს. მე თქვენი დამცირება მჭირდება, რადგან ასეთი ზიზლით მომექეცით.

**პროფესორი:** ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ასეთი იყავით.

**მარინა:** ვერც მე.

**პროფესორი:** რა იდუმალ კმაყოფილებას პოულობთ ამ პატარა თამაშში, მარინა?

**მარინა:** არ ვიცი. მაგრამ ჩემი კარგად მესმის. თქვენ კი, პროფესორო, რა იდუმალ მომნუსხველობას დაემორჩილებით, როცა ხელებს შემომხვევთ?

ფესის.

**მარინა:** გასაკვირი არ არის. ჯერ ჯოჯობეთს არ იცნობთ.

**მარინა** პროფესორს თვალეებში უყურებს ანგელოზის ღიმილით. სახე გასხივოსნებული აქვს. პროფესორი უფრო და უფრო ეხვევა, ბოლოს, მათი ტურები ერთმანეთს უერთდება. ერთმანეთზე უგონოდ შეყვარებულ წყვილს ჰგვანან, რაც კიდევ უფრო ამაზრბენს ხდის ამ სცენას.

იგივე ოთახი. ბიბლიოთეკაში ათიოდე წიგნიღაა დარჩენილი, ისინიც ერთად თავმოყრილია.

სკამებზე ჩამომჯდარი დანიელი და პროფესორი კითხულობენ. დაღლილი სახეები აქვთ. პროფესორს ნელ-ნელა თვალები ეხუჭება, თავი გვერდზე უვარდება, წიგნი ხელიდან უსხლტება და ძირს ეცემა, მაგრამ ამ ხმაურზე მაინც არ ეღვიძება.

**დანიელი:** (რომელიც ხმაურზე მობრუნდა): პროფესორო! ნუ იძინებთ!

**პროფესორი:** თავი დამანებეთ (თვალებს არ ახელს).

**დანიელი:** თქვენ თვითონ მიბრძანეთ, გამეღვიძებინეთ, თუკი ჩაგეძინებოდათ!

**პროფესორი:** როდის აქეთ ასრულებთ ჩემს ბრძანებებს?

**დანიელი:** როცა მათ აზრიანად ვთვლი, ვასრულებ.

**პროფესორი:** აზრიანი არ ყოფილა, პლაგიატი იყო. „ფარენგეიტ 451“-ში ხალხი ზეპირად სწავლობს წიგნებს, რადგან მთავრობამ მათი განადგურება გადაწყვიტა. ლამაზია, მაგრამ უაზრობაა. როგორ გინდათ, კლეინბეტენგენი დაიზეპიროთ?

**დანიელი:** აედები ზეპირად ჰყვებოდნენ „ილიადას“ და „ოდისეას“.

ხეოას აო ახდოძეიდხუ. ძათ გაოთოიას ხიგხეიის ზეჰიოად დასხავლა ნარმოადგენდა.

**დანიელი:** პროფესორო, იმას კი არ ვამბობ, რომ ეს იოლია. ისიც ვიცი, რომ ჩვენ წიგნებს ზეჰირად ვერ ვისწავლით. მაგრამ შეგახსენებთ, რომ თქვენ თვითონვე მითხარით გუშინ: როცა წიგნებს რამდენიმე დღის სიცოცხლედა დარჩენიათ, მათით ბოლომდე უნდა ვისიამოვნოთო.

**პროფესორი:** ამიტომაც მთელი ღამე შეუწყვეტლივ კითხულობთ!

**დანიელი:** ეს თქვენი მითითება იყო.

**პროფესორი:** როგორ შეგიძლიათ ერწმუნოთ იმ კაცის სიტყვებს, რომელიც სტუდენტების წინაშე ბლატეკს აცამტვერებს და თვითონ კი, მართო დარჩება თუ არა, მისი კითხვით ტკბება?

**დანიელი:** ამისი არ უნდა გრცხვენოდეთ. სრულიად ჩვეულებრივი საქციელია.

**პროფესორი:** სწორედაც! არ გგონიათ, რომ ჩემგან მეტს უნდა მოელოდეთ?

**დანიელი:** არა.

**პროფესორი:** მართლა? ყოველ შემთხვევაში ახლა ეს მეცოდინება.

**დანიელი:** პროფესორო, გარწმუნებთ, თქვენი ამპარტავნობის დასაკმაყოფილებლად უკეთესი საქმიანობის პოვნა შეგიძლიათ.

**დანიელი:** აი, იკითხეთ და იკითხეთ კლეინბეტენგენი, სანამ დაწვის დრო არ დაუდგება.

**პროფესორი:** ფუჰ! სურვილი გამიჩინეთ, ახლავე დავწვა.

**დანიელი:** პროფესორო! ამ წიგნს ჰქვია „საშინელების პათივისცემა“! რვა წლის წინ თქვენ მასზე სტატია დაწერეთ! გახსოვთ რას წერდით? მე მახსოვს.

**პროფესორი (გაღიზიანებული):** ვიცი, რასაც ვწერდი: „საშინელების პათივისცემის“ ნაკითხვის შემდეგ ყველა ადამიანი პათივისცემით მოეკიდება თავის ღირსებას“.

**დანიელი:** იქნებ, დადგა დრო, ეს მშვენიერი სიტყვები პრაქტიკაში განახორციელოთ?

**პროფესორი:** არა. ჩემი აზრით, დადგა დრო, ამ მშვენიერ სიტყვებზე ბევრი ვიცინოთ. ხოლო კლეინბეტენგენი დავწვათ. იცით, რას გეტყვით? „საშინელების პათივისცემა“ დაწერა ადამიანმა, რომელსაც არასოდეს შიებია. ხოლო ჩემი რვა წლის წინანდელი სტატია დაწერა ადამიანმა, რომელსაც მანამდე არასოდეს შესციებია. ასე რომ, ამ წიგნის ადგილი ცეცხლშია!

**დანიელი:** უსამართლოდ მსჯელობთ, პროფესორო. თქვენც ხომ კარგად გესმით. ასეთი არგუმენტით მთელი თქვენი ბიბლიოთეკა შეიძლება ცეცხლს მივცეთ.

შეათხიეთ?

**დანიელი:** კაცი იფიქრებს, ამის გამო ბედნიერი ხართ.

**პროფესორი:** ბედნიერი? არა. აი, ბოძვა კი დავინყე! ამ წიგნებს ათი წლის განმავლობაში თავს ვაკლავდი იმისთვის, რომ მომდევნო ოცი წლის განმავლობაში მათთვის აზრიანობა მიმეცა. იცით, რა სასაცილოა, მათი დანვა რომ მსურს! როდესაც ეპისკოპოსი რემი კლოვისს ნათლავდა, უთხრა: „დანვი ის, რასაც თაყვანს სცემდი, თაყვანი ეც მას, რასაც დანვავ!“ ეს ფრაზა ყოველთვის მხიბლავდა. ჩემი ცხოვრების წესად ვაქციე.

**დანიელი:** ნეტავ, ოდნავ მაინც გეტყობოდეთ, რომ თაყვანს სცემთ იმას, რასაც ნვავთ. იოტისოდენა სინანულსაც არ გრძნობთ. ეგ კი არადა, სახეზე სიამოვნება გაწერიათ.

**პროფესორი** (დგება და იზმორება, მთქნარებით ამბობს): ასე აშკარად ჩანს?

**დანიელი:** ძნელია ამის არ დანახვა.

**პროფესორი** (ასრულებს სასაცილო საცეკვაო პას, ბალერინასავით ერთ ფეხზე ტრიალებს, წიგნს თავზემით იქნევს და სიცილით ბჟირდება): ყველაზე მშვენიერი ჩემში ისაა, რომ არაფრის დამალვა არ შემიძლია.

**დანიელი** (ამბერით): სიმართლე თუ გინდათ, რაც ეს ზამთარი დაიწყო, სრულიად იმის საპირისპიროდ იქცევით, რასაც თორმეტი წლის განმავლობაში გვასწავლიდით.

**დანიელი:** თქვენ წარმოიდგინეთ! თვრამეტის ვიყავი, როცა აღმოგაჩინეთ. ასე მეგონა, თქვენს სიტყვებში კაცობრიობის გონი ერთიანად იყო თავმოყრილი. როცა გისმენდით, სიხარულით ყვირილი მინდებოდა, სიამაყით ვივსებოდი იმიტომ, რომ ადამიანი მერქვა!

**პროფესორი** (*ასრულებს ნახტომს, თან წიგნს ისევ თავზემით იქნევს*): ახლა კი რცხვენია! (*ხითხითებს*).

**დანიელი:** თქვენ კი არა?

**პროფესორი** (*მხრებს იჩეჩს*): მეც. მაგრამ ეს სრულიად არ მანუხებს. მარინასავით გავხდი: სითბოს მეტი არაფერი მადარდებს. სხვა ყველაფერი “ჭირსაც წაუღია” – როგოც ჩვენი ძველი ხალხი იტყოდა.

**დანიელი:** მარინა ასეთი არ არის.

**პროფესორი:** თქვენ რა იცით მარინაზე, დანიელ?

**დანიელი:** ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია. მე მას უკეთ ვიცნობ, ვიდრე თქვენ.

**პროფესორი** (*უცნაური ღიმილით*): ოჰ!

**დანიელი:** თქვენსა და მას შორის ყველაზე დიდი განსხვავება ისაა, რომ მარინა იტანჯება იმით, რომ ცხოველია, თქვენთვის კი ეს სულერთია.

**დანიელი** (გაცეცხლებული წამოხტება, წიგნს მიაგდებს და პროფესორს კოსტიუმის გულისპირში ჩაავლებს ხელებს): დიახ, იტანჯება! თუ გსიამოვნებთ თქვენი თავის ჭუჭყში ამოსვრა, თქვენი ნებაა, მაგრამ მარინას გასვრა არ გაბედოთ!

**პროფესორი:** რა რომანტიკული ხართ! საუცხოოა!

**დანიელი** (ხელს უშვებს პროფესორს და ბიბლიოთეკასთან მიდის წიგნების სანახავად): რომანებიდან... რვა დარჩა და კიდევ ორი, რომელთაც ჩვენ ვკითხულობთ. ათი წიგნი დაგვრჩა, პროფესორო. უკვე შეგვიძლია პასუხი გავცეთ ცნობილ კითხვას: „რომელ წიგნს დაიტოვებდით?“

**პროფესორი** (ჯდება): ჩამომითვალეთ ეს ათი წიგნი?

**დანიელი:** მაშ ასე... დაგვრჩა ობერნახის „მითი სულთანზე“, ესპერანდიოს „თოჯინა ლაპარაკობს“ და „დაჭმუჭნილი აბრეშუმი“, ფოსტოლის „ბოლოს მოღება“, ფატერნისის ტეტრალოგია – თითქოს შემთხვევით...

**პროფესორი:** რას გულისხმობთ?

**დანიელი:** იმას, რომ თითქოს შემთხვევით, ფატერნისის არც ერთი წიგნი არ დაგვინვაკვს და თითქოს შემთხვევით, ეს სწორედ ის ავტორია, რომელსაც თქვენ სადოქტორო დისერტაცია მიუძღვენით.

**პროფესორი:** აი, ამას უწოდებენ ასაკის პრივილეგიას, ჩემო პატარავ.

ხავიკითხე, „სითხე“. და როცა ძახსეხდეია, რომ გუძიხ საღამოს  
სალბონატუსის „გაოცებანი“ დავწვით, აღშფოთებას ვეღარ ვმალავ. „სითხე“  
„გაოცებანთან“ ახლოსაც ვერ მივა!

**პროფესორი:** მე სხვაგვარად ვფიქრობ. და შეგახსენებთ, რომ აქ უფროსი მე  
ვარ.

**დანიელი:** დიახ, ვიცი.

**პროფესორი:** ახლა კი, ნებას გაძლევთ, დანვით წიგნი სახელწოდებით  
„სითხე“. ვალიარებ, ნეტარ სიამოვნებას მივიღებთ. ამ საღამოს დანვით, ჩემო  
დანიელ. ხომ ხედავთ, რა კეთილი უფროსი ვარ.

**დანიელი:** არა, არა! მართალია, „სითხე“ არ არის თვალსაჩინო რომანი,  
მაგრამ არც ყველაზე უარესია იმათგან, რაც დაგვრჩა.

**პროფესორი:** ახლა თავიდან არ დაიწყით.

**დანიელი:** დავიწყებ. დავიწყებ ყოველდღე მანამ, სანამ იმ არარაობას არ  
მივცემთ ცეცხლს.

**პროფესორი:** „ობსერვატორიის მეჭლისი“ არარაობა არ არის. კიდევ ერთხელ  
გახსენებთ, რომ აქ უფროსი მე ვარ.

**დანიელი:** რა კეთილშობილი არგუმენტი!

**პროფესორი:** ეს არგუმენტი კი არა, უძლიერესის კანონია.

**პროფესორი:** დიახ, მაგრამ უნივერსიტეტის გარეთ არასოდეს გავდივართ. ეს ჩვენი რელიგიაა.

**დანიელი:** მაშინაც არ გახვალთ, თუკი ტაძარი დაინგრევა?

**პროფესორი:** ნუ აჭარბებთ. ფაკულტეტის ბიბლიოთეკა მიწისქვეშა სართულზეა. ის მაინც გადარჩება. და ყოველთვის შეგეძლება თქვენი საყვარელი წიგნები იკითხოთ გათბობის მილებზე მიკრულმა.

**დანიელი:** მაშინ, დავწვით „ობსერვატორიის მეჯლისი“ და თქვენც ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში იარეთ მის წასაკითხად.

**პროფესორი:** არა, არ გამოვა. მე არ შემიძლია ეს წიგნი ხალხის დასანახად ვიკითხო, იმდენი ცუდი რამ ვთქვი მასზე.

**დანიელი:** ჩემს დასანახად რომ კითხულობთ, არ გეუხერხულებათ?

**პროფესორი:** არა. თუ გავითვალისწინებთ იმ პრინციპს, რომ ყველა ასისტენტს თავისი უფროსი გამოთავყვანებული ჰგონია, მე თქვენს თვალში არაფერი მაქვს დასაკარგი.

**დანიელი:** მაოცებთ, პროფესორო. მე კი ყოველთვის ვთვლიდი, რომ ყველა პროფესორს თავისი ასისტენტი ჰგონია გამოთავყვანებული.

**პროფესორი:** ესეც ჭეშმარიტებაა. ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, მესამე

ასისტენტს შოთის ურთიერთობის ერთ-ერთი ხილიც ეს ათის – ურთიერთსიძულვილი, რომელიც გარეგნულად სათაყვანებელ პატივისცემაშია გამოხატული.

**დანიელი:** მაინც ამიხსენით, როგორ მოხდა, რომ ასეთმა შეუმცდარმა და ცინიკოსმა ინტელექტუალმა, როგორიც თქვენ ბრძანდებით, „ობსერვატორიის მეჯლისი“ გაიხადა კულტად?

**პროფესორი:** ეს იმიტომ, რომ პირველ რიგში ინტელექტუალი ვარ – მოაზროვნე არსება, რომელიც იმას ოცნებობს, რომ საწინააღმდეგო აზრი მოისმინოს – და მხოლოდ ამის შემდეგ შეუმცდარი და ცინიკოსი. ჰოდა, როდესაც ჭკვიანი მწერალი – როგორიც ბლატეკი გახლავთ – ცდილობს დამარწმუნოს, რომ ყმანვილური სიყვარული მეტისმეტად მიამიტი არ უნდა მეგონოს, ამით დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

**დანიელი:** კეთილი. მაშინ რატომ უმეორებთ სტუდენტებს გაუთავებლად, რომ ეს რომანი პატარა ბურჟუების საკითხავი მდარე ნაწარმოებია და ისეთი საცოდავი, რომ სიმწრით ტირილიც კი მოგინდება კაცს?

**პროფესორი:** იმიტომ, რომ ესეც მართალია. როცა ომია, როცა შიმშილისგან კუჭი გიხმება და სიცვიისგან ითოშები, როცა ხედავ, როგორ პანტაპუნტით იხოცება ხალხი შენ ირგვლივ, თავს უტყდები, რომ შენც პატარა ბურჟუა ხარ და ეს არც ისე დასაძრახია.

**დანიელი:** თქვენ და ასეთი მკრეხელობის ქადაგება? ეს იმას ნიშნავს, რომ ომი ნამდვილად წავაგეთ.

ვახსეხე, აძით ჩემი ძიდგოძა გაძოვხატე ამ ოძოძახის კითხვისადმი, თოძოძ თვითონ რომანს დასაწუნი არაფერი აქვს. ის ყმანვილების შესანიშნავ სასიყვარულო თავგადასავალს გვიყვება.

**დანიელი:** როგორ გამაცინეთ! წარმომიდგენიხართ, სტუდენტებს როგორ ეუბნებით: „იცით, შევცდი: ეს წიგნი პატარა ბურჟუების საკითხავი არ არის. ის ყმანვილების შესანიშნავ სასიყვარულო თავგადასავალს გვიყვება“. ოღონდ, დამეთანხმებით, ეს არასოდეს მოხდება. საკუთარ ღირსებას მეტისმეტად აფასებთ და ასეთ რამეს არაფრით აღიარებთ საჯაროდ.

**პროფესორი:** მართალიც ვარ: პროფესორს დიდი ძალისხმევა სჭირდება, სტუდენტების თვალში ცოტაოდენი პატივისცემა მაინც რომ მოიპოვოს. ასეთი აღიარება კი მაშინვე დამაკარგინებდა მათ ნდობას.

**დანიელი:** დიახ, დიახ. თანაც უფრო მოსახერხებელია წიგნის ლანძღვა გააგრძელოთ. სამაგიეროს გადახდა არ შეუძლია: აი, რითია კარგი ლიტერატურა! ყველაფერი შეგიძლია იკადრო! გულს მირევთ, პროფესორო!

**პროფესორი:** თუ ასეა, თქვენ თვითონ ახადეთ ფარდა ჩემს სიცრუეს, თუკი თქვენი წმიდათანმიდა სინდისი ასე გკარნახობთ. რა გაკავებთ? წადით, უთხარით სტუდენტებს, რომ არ მეთანხმებით და ეს რომანი საუკეთესოზე საუკეთესოა!

**დანიელი:** რა მაკავებს? სულ უბრალო რამ: ქეშმარიტება. მე ეს წიგნი არ მომწონს. და, სხვათა შორის, ამისთვის თქვენი აზრის მოსმენა არ დამჭირვებია.

**დანიელი:** მეტისმეტად მიამიტურია!

**პროფესორი:** მაინც რა არის მიამიტური ამ წიგნში?

**დანიელი** (*ჩამოკდება და გაღიზიანებული ამოიოხრებს*): ყველაფერი.

**პროფესორი:** არა, ასე თქმა ძალიან ადვილია. დააკონკრეტეთ, გეთაყვა.

**დანიელი** (*მხრებს იჩეჩავს*): რა ვიცი... მათი პირველი შეხვედრა, იმპროვიზაციის კონკურსზე.

**პროფესორი:** რა არ მოგწონთ ამ პირველ შეხვედრაში? რა, ის უფრო მიამიტურია, ვიდრე თქვენი პირველი შეხვედრა მარინასთან?

**დანიელი:** რა გასამართლება მომიწყვეთ? ჩვენ ხომ რეალურ ცხოვრებაზე არ ვსაუბრობთ. შესაძლებელია, რეალობაში ჩვენი ცხოვრება ხელოვნების ნიმუშს არ წარმოადგენდეს, მაგრამ ლიტერატურას ეს მოეთხოვება და კიდევ უფრო მეტად სწორედ იმიტომაც, რომ ჩვენი მდარე რეალური ცხოვრება გაალამაზოს.

**პროფესორი:** როგორც ვხედავ, თქვენ ასე განყობთ. საკუთარი ცხოვრება უღიმღამოდ წარმართოთ იმის იმედით, რომ მის მშვენიერებას ლიტერატურა აგინაზღაურებთ.

**დანიელი:** სხვათა შორის, ჩემი ცხოვრება არც ისეთი უღიმღამოა თქვენს ცხოვრებასთან შედარებით.

დახიელ, ძაძიხაც, როცა იქმს ცხოვროვიაზე ძსჯელოით და ძაძიხაც, როცა ამ რომანში აღწერილ პირველ შეხვედრას ახსენებთ. ყმანვილი გოგონა და ბიჭი ერთმანეთს რინგზე ხვდებიან – ეს იმას ნიშნავს, რომ იმპროვიზაციის კონკურსი კრივის დარბაზში ტარდება. მათ ერთმანეთი არასოდეს უნახავთ და ახლა, პირველად, კრივის რინგზე შეხვდებიან. საუცხოოა!

**დანიელი** (*ილიმება*): როგორი გულისამაჩუყებელი ხართ, პროფესორო.

**პროფესორი**: ფარისეველი რომ არ იყოთ, ჩემს აზრს დაეთანხმებოდით.

**დანიელი**: ფარისეველობაში თქვენ ნამდვილად მჯობნით, პროფესორო.

**პროფესორი**: მე საკუთარ თავთან მაინც არ ვარ ფარისეველი. ყველაზე მთავარი კი ესაა. მოდით, გულახდილად მითხარით. ამ ერთხელ მაინც აღიარეთ, ხომ შესანიშნავი იდეაა! მათ ავალებენ, რომ განასახიერონ იაკობის შებრძოლება ანგელოზთან! მაგრამ არც ლარისას მიუღია ქრისტიანული განათლება და არც ჟარომილს. წარმოდგენაც არ აქვთ, რას ნიშნავს ეს შებრძოლება. ამიტომაც ორმაგად უწევთ იმპროვიზება. აღიარეთ, განა ამაღელვებელი არ არის ეს სცენა?

**დანიელი**: ასაკმა ლირიკული გაგხადათ, პროფესორო. (*იცინის*).

**პროფესორი**: იცინეთ, იცინეთ. ვერც კი ხვდებით, რას გაკარგინებთ თქვენი ირონია. გულახდილობის ერთი ნამცეციც რომ გაგაჩნდეთ, აღიარებდით, რომ ეს სცენა ოცნებებში წარიტაცებს მკითხველს, რომ ყველაფერს გაიღებდით, ოღონდ ერთი წუთით ლარისა ან ჟარომილი ყოფილიყავით მათი პირველი შეხვედრისას.

კი აო ვკითხულობთ „აღუესახდოიის კვაოტეტს“, რომ უუსტიხი ახ დაოლე გვინდა ვიყოთ! არამედ იმიტომ, რომ მწერლის შემოთავაზებული მსოფლმხედველობა აღმოვაჩინოთ. ჰოდა, აღიარეთ, რომ ბლატეკის მსოფლმხედველობას მხოლოდ უბადრუკი შეიძლება ვუწოდოთ.

**პროფესორი:** და თქვენ ამბობთ, რომ მე ვარ გულისამაჩუყებელი, ჩემო ძვირფასო დანიელ? ვერც ერთი მიამიტობა ვერ შეედრება საუნივერსიტეტო აზროვნების მიამიტობას. ასე რამ გამოგაღენჩათ? დაგავიწყდათ, რომ ომი მძვინვარებს? ათასწლეულების განმავლობაში ყველაზე ჭკვიანმა მოაზროვნებმა ყველაზე კეთილშობილური მსოფლმხედველობები დაგვიწერეს ყველაზე ბრწყინვალე წიგნებში. და მერე რა? როგორ გგონიათ, განა მათი იდეები ვინმეს რამეში გამოადგა?

**დანიელი** (ზემოთ აღაპყრობს თვალებს): ეგ არაფერ შუაშია!

**პროფესორი** (უცებ წამოხტება): აბა, რა არის შუაში? რა საჭიროა მსოფლმხედველობის გამოხატვა, თუკი მსოფლიოს იგი ფეხებზე ჰკიდია?

**დანიელი:** ჩვენი ვალიც ესაა: მკითხველი უნდა აღვზარდოთ იმისთვის, რომ კითხვა უსარგებლო არ გახდეს – კარგ მთქმელს კარგი გამგონე სჭირდებაო, ნათქვამია.

**პროფესორი:** მკითხველის აღზრდა მოისურვა! სად გაგონილა! არც ისეთი პატარა ხართ ასეთი სისულელეები რომ იქადაგოთ! ადამიანები კითხვაშიც ისინი არიან, რასაც, რასაც ცხოვრებაში წარმოადგენენ: ეგოისტები, სიამოვნებას დახარბებულები და აღზრდას არ ექვემდებარებიან! მწერალმა

შილოს იგი ისეთად, როგორც აოის. და თუ ხაოძოდგეხია, რომ ადაძიახეის შეცვლა შეუძლია – თუკი, რა თქმა უნდა, ამ გაგანია ომში ასეთი ამბიცია შეიძლება ვინმეს გაუჩნდეს – მაშინ ის ყოფილა გამოთაყვანებული რომანტიკოსი და არა იგი, ვისაც ბლატეკი მოსწონს.

**დანიელი:** თუ თქვენ მართალი ხართ, მაშინ კიდევ უფრო მეტად დამნაშავე ხართ, იმიტომ რომ სულ მცირე ოცი წელი ამის საპირისპიროს ასწავლიდით.

**პროფესორი:** ჩემო დანიელ, ჩემი სწავლების მხოლოდ რამდენიმე თქვენნაირ მოწინავე სტუდენტს სჯეროდა. დანარჩენებს ჭკუა ჰყოფნიდათ, ჩემი ქადაგების საპირისპირო რამ ერწმუნათ და დარწმუნებული ვარ, რომ ისინი, ვინც ჯერ კიდევ ცოცხლები არიან, დღეს „ობსერვატორიის მეჯლისის“ კითხვით ტკბებიან სწორედ იმიტომ, რომ ლექციებზე ეს წიგნი ვაძაგე.

**დანიელი:** არასოდეს მინახავს საკუთარი სინდისის ასეთი მშვიდი განწმენდა.

**პროფესორი:** ვიცი, რომ უსუფთაო სინდისის ქონა დღეს ელეგანტურობად ითვლება, მაგრამ გულახდილად რომ გითხრათ, იმის შემხედვარე, რაც ახლა ჩვენ გარშემო ხდება, ჩემს ამ ნაკლს დიდ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებ.

**დანიელი:** ასე მგონია, გენანებათ.

**პროფესორი:** შეიძლება ასეცაა. როცა ხვდები, რომ შენი ცხოვრებით ვერაფერი გააკეთე, ეგ კი არადა, ვნებაც კი ვერ მიაყენე ვერავის!.. (მიდის ბიბლიოთეკასთან და ერთ წიგნს იღებს. შემდეგ უკან ბრუნდება, ჯდება და წიგნს

არ აოსეოთის აოგუძეხტი, ოოძელიც აძ სუოვილს ხიხ აღუდგეა. კაოგი იუხეა, ეს რომ გაიგოთ.

**დანიელი:** მე კი მისი წაკითხვის არავითარი სურვილის არ გამაჩნია.

**პროფესორი:** ნუთუ? არა, მაინც რა თიხისგან ხართ გამოძერწილი? კეთილი, პირველ შეხვედრაზე გული არ აგიჩუყდათ, მაგრამ არ მითხრათ, რომ მეჭლისის სცენამაც არ აგაღელვათ.

**დანიელი:** ნამდვილად ამაღელვა, იმდენად უგემოვნოდაა დაწერილი.

**პროფესორი:** უგემოვნოდაა დაწერილი? (თვალები ლამის ბუდიდან ამოუვარდეს გაოცებისგან). ძალიან ცდებით!

**დანიელი:** ორმოცდაათი წელს გადაცილებული კაცი რომ ყმანვილი გოგონას გულის დაპყრობას ცდილობს, არაბუნებრივი და გულისამრევია.

**პროფესორი:** რას ამბობთ, ეს ისეთივე ბუნებრივი და ძველია, როგორც თვით სამყარო.

**დანიელი:** ჰოდა, მით უმეტეს, თქვენი სიტყვები კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სცენა დღევანდელი ცხოვრებისთვის არაბუნებრივი და გულისამრევია.

**პროფესორი:** რატომ თამაშობთ მორალისტის როლს? ამაღელვებელი ამ სცენის ესთეტიკაა.

გადაცილებული ძაძაკაცი თევსძეტი ხლის გოგონას აიამს.

**პროფესორი:** კი მაგრამ რას ერჩით ორმოცდაათ წელს გადაცილებულ მამაკაცებს?

**დანიელი:** თქვენი აზრით?

**პროფესორი:** კარგი. რას მერჩით მე? *(გულხელს დაიკრეფს)*.

**დანიელი:** რამდენიმე წუთის წინ მომახსენეთ, რომ ყოველი პროფესორი თავის ასისტენტს ბრწყვად თვლის. აქედან ვასკვნი, რომ თქვენც მე ბრწყვად მთვლით. მაგრამ იმედი მაქვს, ისეთ იდიოტად მაინც არ მთვლით, რომ ვერ მივმხვდარიყავი რა მოხდა თქვენსა და მარინას შორის.

**პროფესორი:** ვერ ვხვდები, რას გულისხმობთ.

**დანიელი** *(სასონარკვეთილი)*: ნუ უარყოფთ! ჩემი თვალით დაგინახეთ, როცა ერთხელ ადრე მომიხდა შინ დაბრუნება. უხმაუროდ უკან გავბრუნდი და თქვენ არაფერი შეგინიშნავთ.

**პროფესორი:** მერე? რას აპირებთ, უნდა მომკლათ?

**დანიელი:** ომი რომ არ იყოს, ალბათ ასეც მოვიქცეოდი. ახლა კი სიკვდილი მეტისმეტად გაუბრალოვდა.

**პროფესორი:** აბა, რას აპირებთ?

**პროფესორი:** მარინა არ გეზიზღებათ? მე მასზე ძალა არ დამიტანებია.

**დანიელი:** მისი სხეული ზიზღს არ აღმიძრავს.

**პროფესორი:** მე სულაც არ მითხოვია, ჩემი სხეული მოგწონებოდათ.

**დანიელი:** ეგლა მაკლდა!

**პროფესორი:** მარინა, სხვათა შორის, ჩემს სახლში ცხოვრობს.

**დანიელი:** რა აღმაფრთოვანებელი არგუმენტია!

**პროფესორი:** და თანაც, ეშმაკმა დალახვროს! ომია!

**დანიელი:** არა! ეგ ვეღარ გიშველით! რაც არ უნდა გითხრათ, თავს ამართლებთ: „ომია, ომია!“ როცა გსაყვედურობთ, რომ შედევრები დაწვით, მპასუხობთ: „ომია!“ რომ სადგურზე საკითხავი რომანების ქება დაიწყეთ, მპასუხობთ: „ომია!“ თქვენი ასისტენტის შეყვარებული შეაცდინეთ და ისევ გაიძახით: „ომია!“

**პროფესორი:** ფაქტია, რომ ომია!

**დანიელი:** კი მაგრამ რატომ თვლით, რომ ომი თქვენს საქციელს ამართლებს?

**პროფესორი:** თუ თქვენ არ შეგინიშნავთ, აგიხსნით, რომ ომის დროს

**დანიელი:** გასაგებია. გსურთ დამარწმუნოთ, რომ ომამდე უცოდველი კრავი იყავით.

**პროფესორი:** ომამდე იმ თქვენს გვრიტზე ბევრად უკეთესები მყავდა მოსახიბლი. თუ რამით უკმაყოფილო ხართ, შეგიძლიათ მიბრძანდეთ, თქვენც და თქვენი... (შემოდის მარინა).

**მარინა:** თქვენი ვინ?

**პროფესორი:** თქვენი ქვედა სართულის სანთებელა!

**დანიელი** (ნამოხტება, პროფესორს პალტოს კიდეებში ხელებს წაავლებს და სკამიდან წამოწევს): რაც გააკეთეთ, არ გყოფნით? თან შეურაცხყოფაც გინდათ მიაყენოთ?

**პროფესორი** (გაგუდული ხმით): თქვენ კი, ვერ ხვდებით, რომ რქები დაგადგათ? ამას იცავთ?

**დანიელი** ჩერდება და მუშტს მოუქნევს პროფესორს. მარინა ხელს დაუჭერს, რომ შეაჩეროს.

**მარინა:** გაჩერდი! ძალმომრეობა შენ გარეშეც საკმარისად გვაქვს. აცალე, თქვას.

**დანიელი** (პროფესორს ძირს მოისვრის, როგორც ჭუჭყიან თეთრეულს და მარინას შეხედავს): რაღაც არა მგონია, უფლება გქონდეს, ჭკუა მარიგო.

ეუჩაძი საძი ადაძიახი იჲ თვალიხი გაძოესალძა სიცოცხლეს და დღეისთვის მეტის ატანა აღარ შემიძლია. (ჯდება, მოდუნებული. ამასობაში პროფესორი დგება და მეორე სკამზე ჯდება. დანიელისთვის სკამი აღარ რჩება. იგი მარინას და პროფესორის ირგვლივ სიარულს იწყებს).

**დანიელი:** ნუ ღელავ, ძვირფასო. საშინელი სანახაობები ამ გარყვნილი ადამიანის მკლავებში დაგავინყდება, მამად რომ გეკუთვნის.

**მარინა:** თუკი გესიამოვნება, იცოდე, რომ მისი მკლავები არაფერსაც არ მავინყებს.

**დანიელი:** მაშინ რატომ თანხმდები ამაზე?

**მარინა:** მათბობს... მხოლოდ და მხოლოდ ამიტომ.

**დანიელი:** არ გრცხვენია, ასეთ რამეს რომ ამბობ?

**მარინა:** გეყოფა! არ მჭირდება შენი ქადაგება! მორალისტურ გამოსვლებს თავი დაანებე!

**პროფესორი (მარინას):** სწორედ ამას ვეუბნებოდი ხუთი წუთის წინ.

**დანიელი:** არა, წარმოგიდგენიათ? ეს რა ხალხში ვარ! კაცი ყველაფერს კადრულობს, იმიტომ რომ ომია და ქალი ყველაფერს კადრულობს, იმიტომ რომ სცივა.

**მარინა:** რაც მართალია, მართალია. ომიც მძვინვარებს და მეც მცივა.

დაეძაოთა!

**დანიელი:** თქვენ ხმა ჩაიკმიდეთ! ვინც ფასეულობები ისე ჩამოაქვეითა, რომ „ობსერვატორიის მეჯლისის“ განხილვაზე შორს ვეღარ მიდის, ხმის უფლება არა აქვს! (ნაართმევს წიგნს, რომელიც პროფესორს მუხლებზე ედო. მარინა დგება და ხელიდან გამოგლეჯს წიგნს დანიელს, რომელიც გაოგნდება. მარინა ისევ ჯდება და წიგნს მუცელზე მიიკრავს).

**მარინა:** მე მომწონს ეს წიგნი! არ მინდა, რომ დავწვათ!

**პროფესორი (გადაიხარხარებს):** აი, მესმის! ხედავთ, დანიელ, მარტო უგემოვნო მოხუცები კი არ ვფიქრობთ ასე!

**დანიელი:** ეს წიგნი მოგწონს?

**მარინა:** ძალიან! მშვენიერი წიგნია!

**დანიელი:** რა არის მასში მშვენიერი?

**მარინა:** განსაკუთრებით, ბოლო – მეჯლისის სცენა.

**დანიელი:** მართლა? ორმოცდაათი წლის კაცი რომ ყმანვილ გოგონას შეაცდენს? გასაგებია, ტკბილ მოგონებებს აღგიძრავს ალბათ.

**მარინა:** არა, ტკბილის რა მოგახსენო! ნამდვილი საზიზღრობა იყო.

**პროფესორი:** გმადლობთ.

**დანიელი:** აჰა, ესე იგი ობსერვატორიაა მშვენიერი?

**მარინა:** არა, ყველაფერი. მწერლის ერთ დანყებული. ულამაზესი საარშიყო ფრაზებით მიმართავენ ერთმანეთს, აბრეშუმის მეჯლისი გეგონება. თითქოს, ევა საუბრობს გველთან. ბრწყინვალე სცენაა, ერთდროულად ღვთიურიც და სატანურიც. ისეთივე მშვენიერია, როგორც ანგელოზისა და მხეცის ბრძოლა...

**დანიელი:** გეყოფა! ხომ შეებრძოლე მხეცს და თვითონვე აღიარე, რომ საზიზღრობა იყო.

**მარინა:** არა, დანიელ. მე ანგელოზის არაფერი მცხია, შენც კარგად მოგეხსენება.

**პროფესორი:** ამას მეც ვეთანხმები.

**მარინა:** რომ იცოდე, რა გულისამრევია პროფესორთან დანოლა, მიხვდებოდი, თუ როგორ მჭირდება ამ წიგნში აღწერილი მშვენიერება. ო, როგორ მჭირდება, რომ სადმე ქვეყნად არსებობდეს მშვენიერება!

**დანიელი:** რა უბადრუკი აზრები გაქვს! წიგნი სამშვენიისი კი არ არის, რომ მისი მშვენიერებით დატკბე და თავი ინუგეშო.

**მარინა:** მართლა? აბა, რა არის?

**დანიელი:** წიგნი ის ძალაა, რომელიც ადამიანს ქმედებისკენ უბიძგებს.

დავიხაზავდით. ხომ ძძვეხივოად იცი, რომ თავს აოავიხ იხუხეს.

**პროფესორი:** თავი მოვიკალი, იმდენი ვუმეორე!

**დანიელი:** თქვენ ხმა ჩაიკმიდეთ! დაიმახსოვრეთ, რომ არავისთვის მაგალითს არ წარმოადგენთ და თქვენგან არავის არაფერი ესწავლება!

**პროფესორი:** კარგი, კარგი.

**დანიელი:** იცოდე, მარინა: თუ მართლა ფიქრობ იმას, რაც თქვი, ესე იგი ომი წაგებუღია.

**მარინა:** ომი წაგებუღია, დანიელ! გეყოფა იმედით და ღირსებით გამსჭვალული ფრაზების დემონსტრირება: მეტისმეტად ცინიკური გამოღის, როცა ვიცი, რომ ომი წამდვიღად წაგებუღია.

**დანიელი:** რა, გირჩევნია, მოგბაძო და მეც უღირსად მოვიქცე?

**მარინა:** მაინც არ ეშვები ამ მაღალფარდოვან სიტყვებს! მე უღირსად არ ვიქცევი. ჩემს ადგილას იქნებ შენც ასე მოქცეულიყავი. რა იცი, შენთვის ხომ არ შემოუთავაზებიათ. იქნებ სწორედ ეს გწყინს, სინამდვილეში: შენთვის რომ არ შემოუთავაზებიათ?

**დანიელი:** ღმერთო, რადგან ყრუ არ გამაჩინე, ეტყობა ეს სიტყვებიც უნდა ავიტანო.

**მარინა**

ცყოფილიყავი, ვეოახაიო გზას ვეო გამოვზახავდი გასათიოიად. თიილი სხეული ჩემი არსებობის აუცილებელი პირობა გახდა. განა ეს არ ნიშნავს, რომ ომი წავაგეთ?

**დანიელი** (მარინას მივარდება და სკამიდან წამოაგდება): სიამოვნებას განიჭებს ასეთი საზიზღრობების თქმა?

**მარინა**: დიახ. მხოლოდ ეს სიამოვნებალა შემომრჩა.

**დანიელი** (მარინას ძირს დააგდება): ზნედაცემულო! (ზედ დააცხრება. ერთმანეთს ებრძვიან და თან გორაობენ, ბავშვებივით ორივე ხელ-ფეხით იბრძვიან, ზოგჯერ მარინა წამოიკივლებს. ამასობაში პროფესორი დგება და ღუმელს ანთებს).

**მარინა**: ლაჩარო! კარგად იცი, რომ ჩემზე ღონიერი ხარ!

**დანიელი**: მინდა დავრწმუნდე! (ბრძოლა გრძელდება. ნელ-ნელა იგი რაღაც გაუგებრობას ემსგავსება. თითქოს ჩხუბი ზოგჯერ სექსში გადადის).

**მარინა**: როგორ შეიძლებოდა შენისთანას სიყვარული!

**დანიელი**: ის როგორ შეიძლებოდა, შენისთანას ანგელოზურ ჟღურტულს აველეღვებინე! (ბრძოლა გრძელდება).

ამასობაში პროფესორმა ათი წიგნი მოიტანა ღუმელთან. გამოაღო ღუმელის სარკმელი და რიგრიგობით შეყარა ცხრა მათგანი. ღუმელთან ჩამუხლულს ბოლო, მეათე წიგნი ხელში უჭირავს.

## ამელი ნოტომი

ვარ, ამ მოძვიილავი სხეულთ-თაძაძით კაოგად გათიით, ძაგოაძ აო ძიხდა, რომ მშვენიერი ლიტერატურული ალი შემოგაკლდეთ.

*ბრძოლა მყისვე წყდება. მარინა და დანიელი ფეხზე წამოხტებიან.*

**დანიელი:** ყველა წიგნი დანვა! (სასონარკვეთილია).

**პროფესორი:** არა, ყველა არა: ერთი დარჩა – გამოიცანით რომელი!

**მარინა** (*მირბის ღუმელთან და პროფესორის გვერდით მუხლებზე ეცემა*): „ობსერვატორიის მეჯლისი“!

**პროფესორი:** გამოცანა გერგებათ, ჩემო კარგო. თქვენს აზრს ველოდებოდი, რომ ამ წიგნის ბედი გადამეწყვიტა.

**მარინა:** ოჰ, არ დანვათ, გემუდარებით!

**პროფესორი:** რატომ? მშვენიერი წიგნია, მაგრამ რა შეუძლია ჩვენთვის?

**მარინა:** მხოლოდ ეგ ერთადერთი მშვენიერება შემოგვრჩა! მხოლოდ მას შეუძლია დაგვაზინყოს ომი.

**დანიელი** (*იატაკზე მოწყვეტილად ჩაჯდება, ამზერილი სახით*):  
ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში გაჩენილი ხანძარი ალბათ უკეთესი გემოვნების სპექტაკლი იქნებოდა, აქაურს თუ შევადარებთ.

**პროფესორი:** ისე, ომს დიდი ხნით ვერ დაგვაზინყებს.

ძაგოაძ, დაე, ამ ხიგბა ივეს სიკვდილაძდე იცოცხლოს!

**პროფესორი:** არ მომწონს, უცებ ასეთი იდეალისტი რომ გახდით! ჩემს სანოლში ცხოველივით კოტრიალობდით, ახლა კი, როგორც კი ამ რომანის ბედზე ჩამოვარდა საუბარი, წმინდანივით ღვთიური ცეცხლის ძალა მოიშველიეთ მის დასაცავად. იმდენს იზამთ, რომ ამ წიგნზე გული ამიცრუვდება!

**მარინა:** წიგნზე ეჭვიანობა აღარ გამიგია, პროფესორო!

**პროფესორი:** კეთილი. მაშინ თქვით, რომ ცხოველი ხართ.

**მარინა:** ცხოველი ვარ!

**პროფესორი:** თქვით, რომ ადამიანური აღარაფერი შეგრჩათ.

**მარინა:** ადამიანური აღარაფერი შემრჩა!

**პროფესორი** (*წიგნს ღუმელის სარკმლის წინ დებს*): ასეთ შემთხვევაში, თქვენთვის სულერთია, გავანადგურებ თუ არა ამ წიგნს.

**მარინა:** არა, გთხოვთ! ჩემთვის სულერთი არ არის! (*წამოდგება, რომ პროფესორი შეაჩეროს*).

**პროფესორი:** ესე იგი იცრუეთ. მთლად ცხოველი არ ყოფილხართ. ერთადერთი ადამიანური რამ შეგრჩათ – ეს წიგნი. სიცრუისთვის რომ

(ხიგხს ცეცხლით ძეგდეს).

**მარინა:** არა! (შეძრუნებული უყურებს ღუმელის სარკმელს, საიდანაც მოჩანს, თუ როგორ მოედო ცეცხლის ალი წიგნს. რამდენიმე წამი გაუნძრევლად დგას. შემდეგ სასტიკი სიძულვილით შეხედავს პროფესორს). თქვენს ყურებას ყველაფერი მირჩევნია! (დგება და კულისებში გარბის).

**პროფესორი** (ხმას აუნევს, კეთილ სახეს იღებს): არა, არ ნახვიდეთ! ამ მშვენიერი ცეცხლით მაინც დატკბით! ღმერთო ჩემო, რა სულელი არსებაა!

**დანიელი:** ცოტა დავმშვიდდი: თქვენსავით საშინელი მაინც არ ყოფილა.

**პროფესორი** (მხიარული ღიმილით): არა შეჯდა მწყერი ხესაო... ჩემზეა ნათქვამი.

**დანიელი:** ნეტავ, გარეთ რატომ გავიდა, რას აპირებს?

**პროფესორი:** რა, არ იცით?

**დანიელი:** თქვენ რა, იცით?

**პროფესორი:** რა თქმა უნდა. ჩემთვის ბევრჯერ უთქვამს, რომ როცა ყველა წიგნი დაინვება, დიდი მოედნის შუაგულში გაისეირნებს. ეტყობა, ეს თვითმკვლელობის ახალი მოდაა.

**დანიელი:** რა? (კულისებისკენ მირბის, რომ მარინას დაეწიოს).

უხდა ძოახეოხო, ოოძ ძაოტოდძაოტოძ ძეიოგო ძძვეხიეოი ცეცხლის სითიო!  
(ნეტარებით ამოიკვნესებს). უკვე ნერვებს მიშლიდნენ ეს ახალგაზრდები.  
(ხურავს ღუმელის სარკმელს). ამის შემდეგ ჯერ ერთ სკამს დავწვავ (ნელა  
ლაპარაკობს, თითქოს სიტყვებსაც ისე ეკონომიურად ხარჯავ, როგორც სანვავ  
მასალას). მერე მეორეს. ბოლოს, როცა აღარაფერი დამრჩება დასანვავი  
(თვალებს მაღალა აღაპყრობს ღვთიური ღიმილით), დიდ მოედანზე იმ ორი  
გვამის მოსაძებნად გავეშურები და იმდენს ვისეირნებ, რამდენიც საჭირო  
იქნება.